**PKF**

ბუღალტრები და ბიზნეს–მრჩეველები

# შპს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი“

## ერთიანი ფინანსური ანგარიშგება
## 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## და დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

**სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი**
**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

**2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

**შინაარსი**


| | გვერდი |
|---|---|
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განცხადება | 2 |
| დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა | 3 |
| კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ | 4 |
| კონსოლიდირებული ანგარიშგება ერთიანი მოგების შესახებ | 5 |
| კონსოლიდირებული ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ | 6 |
| კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ | 7 |
| კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები | 8 |
| ზოგადი ინფორმაცია | 8 |
| მომზადების საფუძველი | 8 |
| სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები | 9 |
| მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, დაშვებები და გადაწყვეტილებები | 23 |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები | 24 |
| საკრედიტო დაწესებულებებისგან მისაღები თანხები | 25 |
| დაზღვევის და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება | 26 |
| გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება | 26 |
| დაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები | 28 |
| მოგების გადასახადი | 30 |
| ინვესტიციები უძრავ ქონებაში | 31 |
| ძირითადი საშუალებები | 32 |
| გადავადებული საკომისიო ხარჯები | 33 |
| სხვა აქტივები | 34 |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 34 |
| ფინანსური ვალდებულებები | 34 |
| კრედიტორული დავალიანება | 35 |
| სხვა ვალდებულებები | 35 |
| საკუთარი კაპიტალი | 35 |
| ვალდებულებები და პირობითი ხარჯები | 36 |
| წმინდა სადაზღვევო შემოსავალი | 36 |
| საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი | 37 |
| შემოსავალი გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან | 37 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი | 38 |
| წმინდა დამდგარი სადაზღვევო ზარალები | 38 |
| ხარჯი უზრუნველყოფილ სამედიცინო მომსახურებაზე | 39 |
| ხელფასები და სხვა შეღავათები თანამშრომელთათვის | 39 |
| ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები | 39 |
| გაუფასურების რეზერვები და სხვა რეზერვები | 40 |
| რისკის მართვა | 40 |
| გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან | 54 |
| უწყვეტ საქმიანობასთან დაკავშირებული მოსაზრებები | 55 |
| საანგარიშო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები | 56 |
| *ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდი:* | *56* |

**სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი**
**ფინანსური ანგარიშგება**
**2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

**მომზადებული IFRS შესაბამისად**

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განცხადება**

სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მის თანმიმდევრულ გატარებას;
- გონივრულ და ფრთხილ მოსაზრებებსა და შეფასებებს;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- შიდა კონტროლის ეფექტური სისტემის შექმნა, დანერგვა და შენარჩუნება;
- სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების დასაცავად მათთვის გონივრულად ხელმისაწვდომი ნაბიჯების განხორციელება; და
- გაყალბების და სხვა დარღვევების თავიდან აცილება და გამოვლენა.

ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დადასტურებილია ხელმძღვანელონბის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით:

თენგიზ მეზურნიშვილი

სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფის

გენერალური დირექტორი

ლევან კაკულია

სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფის

ფინანსური დირექტორი

თარიღი: 2015 წლის 14 მაისი

**შპს „PKF საქართველო“**

აუდიტის, საგადასახადო და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება

**დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**

**შპს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფის“ მფლობელებისთვის**

**დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

1. ჩვენ ჩავატარეთ შპს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომ – „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ერთიანი შემოსავლების შესახებ, კონსოლიდირებულ ანგარიშს საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ და კონსოლიდირებულ ანგარიშს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ზემოაღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

2. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერ წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის შემუშავებას, დანერგვასა და დაცვას, რომელიც გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერ წარდგენას, გაყალბებით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი დამახინჯებების გარეშე, სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და გატარებას და მოცემულ გარემოებებში გონივრული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

3. პასუხისმგებელი ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე, საკუთარი აზრის გამოხატვაზე წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით. აუდიტი განხოციელებულ იქნა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს ეთიკური მოთხოვნების დაცვასა და აუდიტის დაგეგმვას და ჩატარებას სათანადო რწმენით იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით დამახინჯებებს. აუდიტი მოიცავს პროცედურების განხორციელებას ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემებისა და გახსნის შესახებ აუდიტორული მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებით. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის შეხედულებაზე, ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი დამახინჯებების არსებობის რისკის შეფასების ჩათვლით, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს გაყალბებით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასებებისას, აუდიტორი განიხილავს შიდა კონტროლის შესაბამისობას კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერ წარდგენასთან, აუდიტის მოცემული გარემოებებისთვის ადეკვატური პროცედურების შერჩევის და არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვის მიზნით. ამასთან, აუდიტი მოიცავს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებული პრინციპების შესაბამისობისა და ხელმძღვანელობის აღრიცხვასთან დაკავშირებული მოსაზრებების მიზანშეწონილობის და, ასევე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაბამის საფუძველს გვაძლევს აუდიტისთვის.

**დასკვნა**

4. ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას, ამ თარიღისათვის დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

**შპს „PKF საქართველო“**

**თარიღი: 2015 წლის 14 მაისი**

ტელ. +995 32 2 24 30 30 | 24 30 31 ფაქსი +995 32 2 93 57 94 ელ–ფოსტა: pkf@pkfgeorgia.com www.pkfgeorgia.com

PKF საქართველოსაქართველო, თბილისი, 0162, ფალიაშვილის ქ. 85

PKF საქართველო წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელი ფირმების ქსელის – PKF International Limited –ის წევრ ფირმას და არ იღებს რაიმე პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას რომლემე სხვა ცალკეული წევრი ფირმის ან ფირმების მოქმედებასა ან უმოქმედობაზე.

სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი
კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
*თანხები მოცემულია ათას ლარში*

| | შენიშვნა | 31-დეკ-14 მდგომარეობით | 31-დეკ-13 მდგომარეობით |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები | 5 | 861 | 1,497 |
| საკრედიტო დაწესებულებებისგან მისაღები თანხები | 6 | 7,238 | 6,594 |
| სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება | 7 | 5,933 | 20,459 |
| გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება | 8 | 1,869 | 1,965 |
| გადაზღვევის აქტივები | 9 | 15,782 | 14,049 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი | 10 | 815 | 815 |
| მოგების გადავადებული გადასახადის აქტივი | 10 | 2,023 | 1,913 |
| საინვესტიციო ქონება | 11 | 1,413 | 2,579 |
| ძირითადი საშუალებები | 12 | 4,736 | 11,389 |
| არამატერიალური აქტივები | | 69 | 91 |
| გადავადებული საკომისიო ხარჯები | 13 | 524 | 287 |
| სხვა აქტივები | 14 | 6,562 | 5,090 |
| **სულ აქტივები** | | **47,825** | **66,728** |
| **ვალდებულებები** | | | |
| ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტების მიხედვით | 9 | 21,271 | 35,315 |
| გადავადებული საკომისიო შემოსავალი | | 264 | 124 |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 15 | 6,539 | 6,800 |
| ფინანსური ვალდებულებები | 16 | 9,638 | 14,736 |
| კრედიტორული დავალიანება | 17 | 480 | 1,803 |
| სხვა ვალდებულებები | 18 | 4,675 | 5,673 |
| **სულ ვალდებულებები** | | **42,867** | **64,451** |
| **კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი | 19 | 1,500 | 1,500 |
| გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული წაგება) | | 3,458 | 777 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **4,958** | **2,277** |
| **სულ საკუთარი  კაპიტალი და ვალდებულებები** | | **47,825** | **66,728** |

თენგიზ მეზურნიშვილი
გენერალური დირექტორი

ლევან კაკულია
ფინანსური დირექტორი

თარიღი: 2015 წლის 14 მაისი

სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი
კონსოლიდირებული ანგარიშგება ერთიანი მოგების შესახებ
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
*თანხები მოცემულია ათას ლარში*

| | შენიშვნა | წელი 2014 | წელი 2013 |
|---|---|---|---|
| მთლიანი გამომუშავებული პრემიები სადაზღვევო ხელშეკრულებებზე | 21 | 23,6083 | 46,163 |
| გადამზღვეველის წილი მთლიან გამომუშავებულ პრემიებში სადაზღვევო ხელშეკრულებებზე | 21 | (3,704) | (5,533) |
| **წმინდა სადაზღვევო შემოსავალი** | | **19,904** | **40,630** |
| საპროცენტო შემოსავალი | 22 | 1,418 | 1,570 |
| შემოსავალი გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან | 23 | 7,333 | 5,428 |
| საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება | 11 | – | 23 |
| შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან მიღებული მოგება | | 2,910 | – |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 24 | 678 | 2,388 |
| **სხვა შემოსავლები** | | **12,339** | **9,409** |
| **სულ შემოსავალი** | | **32,243** | **50,039** |
| მთლიანი სადაზღვევო სარგებელი და გადახდილი პრეტენზიები | 25 | (14,535) | (33,532) |
| გადამზღვეველის წილი მთლიან სადაზღვევო სარგებელში და გადახდილ პრეტენზიებში | 25 | 2,645 | 9,141 |
| სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ცვლილება | 25 | 2,025 | *12,110* |
| გადამზღვეველის წილი სადაზრვევო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიან ცვლილებაში | 25 | (1,193) | (7,547) |
| **წმინდა სადაზღვევო პრეტენზიები** | | **(11,058)** | **(19,828)** |
| გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება | 26 | (6,874) | (11,293) |
| თანამშრომელთა ხელფასები და სხვა შეღავათები | 27 | (4,483) | (4,893) |
| ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები | 28 | (1,809) | (1,926) |
| გაუფასურების ხარჯი | 29 | (1,838) | (6,744) |
| საპროცენტო ხარჯი | 22 | (1,483) | (2,035) |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები | 12 | (1,385) | (1,675) |
| შემოსავალი შეძენიდან (ღირებულება), გადაზღვევის ხარჯების გარეშე | | (408) | (387) |
| მოგება (ზარალი) უცხოური ვალუტით ოპერაციებიდან და გადაცვლიდან | | 342 | (104) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | 24 | (649) | (1,643) |
| **სხვა ხარჯები** | | **(18,587)** | **(30,700)** |
| **სულ პრეტენზიები და ხარჯები** | | **(29,645)** | **(50,528)** |
| **ზარალი დაბეგვრამდე** | 10 | **2,598** | **(489)** |
| საშემოსავლო გადასახადი (ხარჯი) / შეღავათი | | 83 | 99 |
| **წმინდა მოგება / (ზარალი) წლის განმავლობაში უწყვეტი ოპერაციებიდან** | | **2,681** | **(390)** |
| სხვა ერთიანი შემოსავალი | | - | - |
| **სრული ერთიანი (ზარალი) / მოგება წელიწადში** | | **2,681** | **(390)** |
| **სრული ერთიანი (ზარალი) / მოგება, რომელიც მიეკუთვნება:** | | | |
| - კომპანიის აქციონერებს | | 2,681 | (390) |
| - არა საკონტროლო პაკეტს | | - | – |

თენგიზ მეზურნიშვილი — ლევან კაკულია

გენერალური დირექტორი — ფინანსური დირექტორი

თარიღი: 2015 წლის 14 მაისი

სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

*თანხები მოცემულია ათას ლარში*

პირდაპირი მეთოდი

| | *შენიშვნები* | წელი 2014 | წელი 2013 |
|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრების ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| მიღებული პრემია | | 23,938 | 43,500 |
| გადამზღვეველისთვის გადახდილი ნაღდი ფული | | (2,727) | (3,506) |
| გადახდილი პრეტენზიები | | (13,628) | (25,649) |
| შეძენის ხარჯები | | (1,047) | (771) |
| რეგრესით მიღებული | | 156 | 252 |
| ნაღდი ფულის გადახდა თანამშრომლებისთვის | | (3,143) | (3,096) |
| წმინდა შემოსავალი პროცენტზე | | (1,161) | (944) |
| ადმინისტრაციული და სხვა გადახდები | | (5,119) | (7,761) |
| გადახილი ჯარიმები | | (57) | (79) |
| გადახილი გადასახადები | | (1,760) | (1,731) |
| საიჯარო შემოსავალი | | 58 | 43 |
| ნაღდი ფული მიღებული სამედიცინო მომსახურებიდან | | 836 | 2,698 |
| **წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები (გამოყენებული) / მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან** | | **(3,655)** | **2,956** |
| **ფულადი სახსრების ნაკადები მიღებული საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| ვადიანი ანაბრები | | (316) | 5,562 |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | | (619) | (398) |
| გაცემული სესხები | | (330) | (5,616) |
| ნაღდი ფული დაბრუნებული მსესხებლების მიერ | | 404 | 558 |
| ნაღდი ფული, მიღებული შვილობილი კომპანიების გაყიდვიდან | | 8,481 | – |
| სხვა ინვესტიციები | | (366) | (383) |
| **წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები (გამოყენებული) / მიღებული საინვესტიციო საქმიანობიდან** | | **7,254** | **(277)** |
| **ფულადი სახსრების ნაკადები მიღებული საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| ოვერდრაფტის დაფარვა - წმინდა ოვერდრაფტები მიღებული (დაფარული) | | 890 | (335) |
| მიღებული სესხები | | 9,818 | 2,064 |
| სესხების დაფარვა | | (15,741) | (3,595) |
| ნაღდი ფული, მიღებული აქციონერებისგან | | 819 | - |
| **ნაღდი ფულის ნაკადები (გამოყენებული) / მიღებული საფინანსო საქმიანობიდან** | | **(4,214)** | **(1,866)** |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა (შემცირება)/ნამატი** | | **(615)** | **813** |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტები, საწყისი ბალანსი** | | **1,497** | **688** |
| ფულად სახსრებსა და მათი ექვივალენტეზე გაცვლის კურსების ცვლილების წმინდა მოქმედება | | (22) | (4) |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტები, საბოლოო ბალანსი** | | **861** | **1,497** |

თენგიზ მეზურნიშვილი — ლევან კაკულია

გენერალური დირექტორი — ფინანსური დირექტორი

თარიღი: 2015 წლის 14 მაისი

სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი
კონსოლიდირებული ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
*თანხები მოცემულია ათას ლარში*

| | მიეკუთვნება ჯგუფის აქციონერებს | | |
|---|---|---|---|
| | *სააქციო აპიტალი* | *გაუნაწილებელი მოგება* | *სულ* |
| **ბალანსი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1,500** | **1,167** | **2,667** |
| სულ ერთიანი მოგება | - | (390) | (390) |
| **ბალანსი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1,500** | **777** | **2,277** |
| სულ ერთიანი მოგება | - | 2,681 | 2,681 |
| **ბალანსი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1,500** | **3,458** | **4,958** |

თენგიზ მეზურნიშვილი
გენერალური დირექტორი

ლევან კაკულია
ფინანსური დირექტორი

თარიღი: 2015 წლის 14 მაისი

## 1 ზოგადი ინფორმაცია

**შპს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი“** (კომპანია) დაარსდა 2005 წლის 10 ნოემბერს თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2009 წლის 5 მაისს შპს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფმა“ შეიძინა სს „სახალხო დაზღვევის“ 100%. უკანასკნელი შეერწყა შპს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფს“ 2009 წლის 15 სექტემბერს.

კომპანიას აქვს საქართველოს სადაზღვევო ზიუროსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გაცემული ორი ტიპის სადაზღვევო ლიცენზია, სიცოცხლისა და არა–სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისთვის. კომპანია სთავაზობს სიცოცხლისა და სხვადასხვა არა–სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებას და ქონების, ავიაციის, პასუხისმგებლობის, პირად დაზღვევასათან დაკავშირებულ სადაზღვევო პროდუქტებს და სხვ. სადაზღვევო მომსახურების გარდა, კომპანია ასევე უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის პროდუქტებსა და მომსახურებას თავისი შვილობილი კომპანიის შპს „მედიქალ პარკ ჯორჯიას“ მეშვეობით, რომელსაც 100% ფლობს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი 0162, მოსაშვილის ქ. #24.

კომპანიის აქციების 100% მფლობელი არის თენგიზ მეზურნიშვილი, კომპანიის გენერალურ დირექტორი.

2014 წლის ბოლოსთვის დასაქმებულთა რაოდენობა იყო 98 (2013:117).

## 2 მომზადების საფუძველი

### ზოგადი

კომპანიის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS–ფასს) შესაბამისად, რომლებიც გაცემულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. კომპანია ვალდებულია აწარმოოს აღრიცხვა და მოამზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება რეგულირების მიზნებისთვის ქართულ ლარში, ფასს–თან შესაბამისობაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ღირებულების ისტორიულ შეთანხმებაზე დაყრდნობით, ქვემოთ საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკაში გახსნილის გარდა.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (ფუნქციონალურ და გამოსახვის ვალუტაში) დამრგვალებული უახლოეს ათასამდე (GEL 000), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანია წარმოადგენს თავისი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას მთლიანობაში ლიკვიდურობის მიხედვით. ანაზღაურებასა ან დაფარვასთან დაკავშირებული ანალიზი ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მოკლევადიანი) და ანგარიშგების თარიღიდან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) წარმოდგენილია შესაბამის შენიშვნებში.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წმინდა ოდენობის წარმოდგენა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის სამართლებრივად მოქმედი უფლება და არის წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად ატივების რეალიზაციის და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა.

### შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და შემდეგი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას:

## 2 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

## შვილობილი კომპანიები (გაგრძელება)

| | *საკუთრება/ხმის მიცემა* | | *რეგისტრაციის* | | |
|---|---|---|---|---|---|
| *შვილობილი კომპანიები* | *2014* | *2013* | *ქვეყანა* | *თარიღი* | *მოღწევლობის დარგი* |
| შპს „ალიანს მედი +“ | 100% | 100% | საქართველო | 11-ოქტ-10 | უძრავი ქონება |
| შპს „მედიქალ პარკ ჯორჯია“ | 100% | 100% | საქართველო | 16-ნოე-10 | ჯანდაცვის პროვაიდერი |
| შპს „გლობალ ქოლ“ | 100% | 100% | საქართველო | 3-დეკ-10 | ინფორმაცია და კომუნიკაციები |
| შპს „აგარაკი“ | 100% | 100% | საქართველო | 25-ოქტ-11 | უძრავი ქონება |
| შპს "ბოლნისის რაიონული საავადმყოფო" | 100% | 100% | საქართველო | 23-მაისი-12 | უძრავი ქონება |
| შპს "ბოლნისის მოზრდილთა რაიონული პოლიკლინიკა" | 100% | 100% | საქართველო | 23-მაისი-12 | უძრავი ქონება |
| შპს "დიაგნოსტიკა-2000" | 100% | 100% | საქართველო | 23-მაისი-12 | უძრავი ქონება |
| შპს "ბოლნისის რაიონული სასწრაფო დახმარების სამსახური–03" | 100% | 100% | საქართველო | 23-მაისი-12 | უძრავი ქონება |

შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია შეძენის დღიდან, რომელიც არის თარიღი, როდესაც კომპანია იღებს კონტროლს და აგრძელებს კონსოლიდირებულად ყოფნას იმ დღემდე, როდესაც ასეთი კონტროლი შეწყდება. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება იმავე საანგარიშო წლისთვის, რაც მშობელი კომპანიის, თანმიმდევრული სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. კომპანიის შიგნით არსებული ყველა ნაშთი, ოპერაცია, შემოსავალი და ხარჯები და მოგება და ზარალი, რომელიც წარმოადგენს კომპანიის შიგნით ოპერაციების შედეგს, სრულად ამოღებულია.

## 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

### შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები, ანუ ის ორგანიზაციები, რომლებშიც კომპანიას გააჩნია ინტერესი ნახევარზე მეტი ხმის უფლებით, ან კომპანიას სხვაგვარად აქვს უფლება განახორციელოს კონტროლი მათ საქმიანობაზე, კონსოლიდირებულები არიან. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულად ითვლებიან იმ დღიდან, რომლიდანაც კონტროლი გადადის ჯგუფზე, ხოლო ისინი აღარ ითვლებიან ასეთად იმ დღიდან, როდესაც აღნიშნული კონტროლი წყდება. ჯგუფის შიდა ყველა გარიგება, ასევე ჯგუფის კომპანიებს შორის ტრანზაქციების შედეგად არსებული ნაშთები და არარეალიზებული მოგება სრულად იქნება ლიკვიდირებული; არარეალიზებული ზარალიც ასევე ექვემდებარება ლიკვიდირებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტრანზაქცია უზრუნველყოფს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას. იქ, სადაც აუცილებლობა მოითხოვს, შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილი იქნა ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

შვილობილ კომპანიაში საკუთრების ინტერესის ცვლილება კონტროლის შეცვლის გარეშე, ითვლება, როგორც კაპიტალის ტრანზაქცია. ზარალი მიეწერება არაკონტროლირებად ინტერესებს, თუნდაც ამან გამოიწვიოს უარყოფითი სალდო.

თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, ის წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, ნებისმიერი არაკონტროლირებადი ინტერესების საბალანსო ღირებულების, კაპიტალში ასახული დაგროვილი კურსთაშორისი სხვაობების აღიარებას;  მაგრამ ის აღიარებს მიღებული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებას, ნებისმიერი დაჩენილი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას  და მოგებისა ან ზარალის შემადგენლობაში ნებისმიერ ზედმეტობას ან დეფიციტს და ახდენს მშობელი–კომპანიის წილის რეკლასიფიცირებას იმ კომპონენტებში, რომლებიც ადრე იქნა აღიარებული სხვა ერთობლივი შემოსულობების ფარგლებში მოგებაში ან ზარალში.

## 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### პროდუქტის კლასიფიკაცია

დაზღვევის ხელშეკრულებები განისაზღვრება, როგორც ხელშეკრულებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს ხელშეკრულების დაწყებიდან, ან ისეთები, სადაც ხელშეკრულების დაწყებიდან არსებობს სცენარი კომერციული არსით, სადაც სადაზღვევო რისკის დონე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. სადაზღვევო რისკის მნიშვნელობა დამოკიდებულია როგორც დაზღვეული შემთხვევის ალბათობაზე, ისე მისი პოტენციური ეფექტის სიდიდეზე.

### ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთს კომპანიაში, საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს და მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებსაც აქვს სამი თვე ან ნაკლები დაფარვის საწყისი ვადა ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

### სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება

სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება აღიარებულია სადაზღვევო პოლისის პირობების საფუძველზე და ფასდება თვითღირებულებით.

სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება გადაიხედება გაუფასურებაზე, როცა მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს აღდგენითი, ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შეტანით მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

გადაზღვევის დებიტორული დავალიანება, პირველ რიგში, მოიცავს ნაშთებს, რომლებიც მისაღებია როგორც დაზღვევის ისე გადაზღვევის კომპანიებიდან გადაცემული სადაზღვევო ვალდებულებებისთვის. გადაზღვევის სავარაუდო პრემიები აღიარებულია, როგორც შემოსავლები, ისევე როგორც იქნებოდა აღიარებული, გადაზღვევა რომ ჩათვლილიყო პირდაპირ საქმიანობად, გადაზღვევის საქმიანობის პროდუქტის კლასიფიკაციის გათვალისწინებით. ვალდებულებები გადაზღვეველების მიმართ გამოითვლება გადაზღვევის ასოცირებული პოლისების შესაბამისად და გადაზღვევის ხელშეკრულების თანახმად. გადაცემული პრემიები და ანაზღაურდბული ზარალები წარმოდგენილია მთლიანი სახით.

გაუფასურების განხილვა ხდება გადაზღვევის ყველა აქტივზე, როდესაც არის მითითება გაუფასურებაზე. გადაზღვევის დებიტორული დავალიანების გაუფასურება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანიამ შეიძლება არ მიიღოს ყველა თანხა, რომელიც ეკუთვნის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, და შეიძლება ამის საიმედოდ შეფასება.

### ფინანსური აქტივები

*თავდაპირველი აღიარება და შეფასება*

IAS 39–ის ფარგლებში ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გაცემულ სესხები და დებიტორული დავალიანება, აქტივები, რომლებიც გამიზნულია ვალდებულების სრულად დასაფარად, ან გასაყიდად ხელმისაწვდომი არსებული ფინანსური აქტივები, აუცილებლობლობის მიხედვით. როდესაც ხდება ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება, ისინი ფასდება სამართლიანი ღირებულებით, პლუს, ინვესტიციების შემთხვევაში, არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯებით. კომპანია ახდენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას.

კლასიფიკაცია დამოკიდებულია იმ მიზნებზე, რა მიზნებითაც ინვესტიციები იქნა შეძენილი ან წარმოშობილი. ზოგადად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში შეფასებული, ვინაიდან კომპანიის სტრატეგიის თანახმად, მან უნდა მართოს შეძენილი ფინანსური ინვესტიციები მისი სადაზღვევო და საინვესტიციო სახელშეკრულებო ვალდებულებების (მათ შორის, აქციონერთა სახსრების) დასაფარად, იმავე საფუძველზე, როგორც სამართლიანი ღირებულება. გასაყიდად ხელმისაწვდომი და ვალდებულების სრულად დასაფარად გამიზნული კატეგორიები გამოიყენება

**3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

**ფინანსური აქტივები (გაგრძელება)**

თავდაპირველი აღიარება და შეფასება (გაგრძელება)

იქ, სადაც შესაბამისი ვალდებულები (მათ შორის, აქციონერთა სახსრები) პასიურად იმართება და/ან აყვანილია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების შესყიდვისა და გაყიდვის ყველა სტანდარტული ოპერაცია აისახება გარიგების თარიღით, ანუ იმ დღიდან, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შეძენის ვალდებულებას. სტანდარტული შესყიდვები ან გაყიდვები არის ფინანსური აქტივების შესყიდვები ან გაყიდვები, რომლებითაც მოითხოვება აქტივების გადაცემა კანონით დადგენილ ან ბაზარზე შეთანხმებულ ვადაში.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად და მოკლევადიან ანაზრებს, გაცემულ სესხებს და სხვა დებიტორულ დავალიანებას და გასაყიდად ხელმისაწვდომ ინვესტიციებს.

*გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება*

გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან დასადგენი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ეს ინვესტიციები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, როგორც ინვესტიციის შესაძენად გადახდილი ჩათვლის სამართლიანი ღირებულება. ტრანზაქციის ყველა ხარჯი, რომელიც უშუალოდ მიეკუთვნება შეძენას, ასევე შედის ინვესტიციის ღირებულებაში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ეს ინვესტიციები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება და ზარალი აღიარებულია მოგების ანგარიშში, როდესაც სესხები და მოთხოვნები არის ჩამოწერილი ან გაუფასურებულია, ისევე როგორც ამორტიზაციის პროცესში.

*გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები*

გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები წარმოადგენს ისეთ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი ან არ არის კლასიფიცირებული არც ერთი ზემოთ აღნიშნული სამი კატეგორიის მიხედვით. ეს ინვესტიციები თავდაპირველად გათვალისწინებულია სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ხდება გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური

აქტივების ხელახალი შეფასება სამართლიანი ღირებულებით, ამასთან მოგება და ზარალი აისახება, როგორც სხვა ერთობლივი შემოსულობების ცალკე კომპონენტი, იქამდე, ვიდრე არ მოხდება ინვესტიციის ჩამოწერა ან ის განისაზღვრება გაუფასურებულად, რა დროსაც კაპიტალში ასახულ კუმულაციურ მოგებას ან ზარალს შეიტანენ მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ამავდროულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი პროცენტი აღიარებული იქნება მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

*სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა*

ორგანიზებულ ფინანსურ ბაზრებზე აქტიურად მბრუნავი ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხდება კოტირებულ საბაზრო სატენდერო ფასებთან მიმართებაში საანგარიშო თარიღის სამუშაო დღის ბოლოს. იმ ინვესტიციებისთვის, რომელთათვის არ არის აქტიური ბაზარი, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების მეთოდების გამოყენებით. ასეთი მეთოდები მოიცავს ბოლოდროინდელი გარიგებების ფასებს, სხვა ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო ღირებულებას, რომელიც არსებითად იგივეა და დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზს.

იმ შემთხვევაში, თუ არ შეიძლება სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება, აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება ფაქტობრივი ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს ინვესტიციის შეძენისას გადახდილ სამართლიან ღირებულებას ან ფინანსური ვალდებულების გაცემისას მიღებულ თანხას. გარიგების ყველა ხარჯი, უშუალოდ დაკავშირებული შეძენასთან ასევე შედის ინვესტიციის ღირებულებაში.

## 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

*ურთიერთჩათვლა*

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მათი ნეტო ოდენობის შეტანა ხორციელდება მხოლოდ, როდესაც არსებობს აღიარებული ოდენობების ურთიერთჩათვლის განსახორციელებელი სამართლებრივი უფლება და, ამასთან, არსებობს განზრახვა მათი ნეტო-საფუძველზე დარეგულირებასთან ან აქტივის რეალიზაციასა და პარალელურად ვალდებულების დაფარვასთან დაკავშირებით. მოგების და ხარჯის ურთიერთჩათვლა მოგების ანგარიშგებაში არ მოხდება, თუ არ არის მოთხოვნა ან ნებართვა სააღრიცხვო სტანდარტის ან ინტერპრეტაციის მიხედვით, რაც სპეციალურადაა განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

*ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური აქტივის (ან, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან კომპანიის მსგავსი ფინანსური აქტივების ნაწილის) ჩამოწერა ხდება, როდესაც:

- ამოწურულია აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა;

ან

- კომპანია იტოვებს აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ან მან აიღო ვალდებულება გადაუხადოს მიღებული ფულადი ნაკადები მესამე მხარეს სრულად, დაგვიანების გარეშე, „გატარების" შეთანხმების საფუძველზე;

და ან:

- კომპანიის მიერ გადაცემულია აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი;

ან

- კომპანიამ არც გადასცა და არც შეინარჩუნა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ მის მიერ გადაცემულია აქტივზე კონტროლი.

როდესაც კომპანიის მიერ გადაცემულია მისი აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან მის მიერ დადებულია „გატარების" ხელშეკრულება, და მან არც გადასცა და არც შეინარჩუნა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ასეთი აქტივის აღიარება მოხდება იმდენად, რამდენადაც გრძელდება კომპანიის ჩართულობა ამ აქტივში.

კომპანიის ჩართულობის უწყვეტობა, რომელსაც მიცემული აქვს გადაცემულ აქტივზე გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველი საბალანსო ღირებულების ყველაზე ნაკლები მნიშვნელობით და მაქსიმალური ჩათვლის გათვალისწინებით, რის გადახდაც შეიძლება მოსთხოვონ კომპანიას.

ამ შემთხვევაში, კომპანია ასევე აღიარებს დაკავშირებულ ვალდებულებას. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება იმ უფლებების და ვალდებულებების საფუძველზე, რომლებიც შეინარჩუნა კომპანიამ.

*ფინანსური აქტივების გაუფასურება*

ყოველი საანგარიშო თარიღისთვის კომპანია ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების შეფასებას.

თუ არსებობს ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის ობიექტური მტკიცებულება, რომელიც გათვალისწინებულია ამორტიზებული ღირებულებით, ზარალის ოდენობა ფასდება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (ჯერ კიდევ არ

## 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

*ფინანსური აქტივების აღიარების გაუფასურება (გაგრძელება)*

დამდგარი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ანუ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოითვლება თავდაპირველი აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება სარეზერვო ანგარიშის გამოყენების ხარჯზე. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

*აქტივები ამორტიზებული ღირებულებით*

უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის დადგენილი სამომავალო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამოღების მიქცევის შედეგად უზრუნველყოფის მიღებასა და რეალიზაციაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით, მიუხედავად მიქცევის ალბათობისა.

კომპანია თავდაპირველად აფასებს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობას ინდივიდუალურად ფინანსური აქტივების მიხედვით, რომლებიც მნიშვნელოვანი არიან ინდივიდუალურად და ინდივიდუალურად ან ერთობლივად იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, მისი მნიშვნელოვნებისგან დამოუკიდებლად, მოცემული აქტივი ჩართული იქნება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომლებსაც გააჩნია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლები და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი ერთობლივად შეფასდება გაუფასურების თვალსაზრისით. აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების თვალსაზრისით და რომლებმაც გამოიწვია ან აგრძელებს ზარალის გამოწვევას გაუფასურების გამო, არ შედის გაუფასურების კოლექტიურ შეფასებაში.

*გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები*

იმ შემთხვევაში, თუ გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივი გაუფასურებულია, თანხა, რომელიც მოიცავს სხვაობას მის თავდაპირველ ღირებულებასა (ძირითადი გადახდის და ამორტიზაციის გამოკლებით) და მის მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის, მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში უკვე აღიარებული ზარალის გამოკლებით, გადააქვთ კაპიტალიდან მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ისეთი წილობრივი ინსტრუმენტების გაუფასურებით მიღებული ზარალის ამოგება, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი, არაა აღიარებული მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. სავალო ინსტრუმენტების გაუფასურებით მიღებული ზარალის ამოგება ხდება მოგება/ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშის მეშვეობით, თუ ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ზრდა შეიძლება ობიექტურად დაკავშირებული იქნას ისეთ მოვლენასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის მოგება/ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარების შემდეგ.

### სადაზღვევო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებები

*ვალდებულებები სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების მიხედვით*

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების უზრუნველყოფა გამოითვლება ხელშეკრულების პირობების და სადაზღვევო პერიოდის საფუძველზე, და ასევე ანგარიშგების თარიღისთვის განცხადებული ზარალის გონივრული შეფასებით.

*ვალდებულებები ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების მიხედვით*

ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების ვალდებულებები მოიცავს გადაუხდელი ზარალების რეზერვს, გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს და პრემიის დეფიციტის რეზერვს. ზოგადი ბიზნეს–სახელშეკრულებო ვალდებულებები ეფუძნება საანგარიშო თარიღისთვის დამდგარი მაგრამ გადაუხელი ყველა ზარალის

## 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### სადაზღვევო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებები (გაგრძელება)

*ვალდებულებები ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების მიხედვით (გაგრძელება)*

შეფასებულ საბოლოო ღირებულებას, მიუხედავად იმისა, განცხადებული იყო თუ არა, შესაბამისი ზარალების მართვის ხარჯებსა და ნარჩენი ღირებულების შემცირებასა, სხვა სახის კომპენსაციებთან ერთად. ვალდებულება გამოითვლება საანგარიშო თარიღისთვის ემპირიული მონაცემების და მიმდინარე დაშვებების საფუძველზე. ვალდებულების დისკონტირება არ ხდება ფულის დროითი ღირებულებით. არ ხდება არც ერთი ექვალიზაციის ან კატასტროფის რეზერვის აღიარება. ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ზარალის გადახდის ვალდებულება ამოწურული, მოხსნილი ან გაუქმმებულია.

რეზერვი აღიარებულია, როდესაც ხელშეკრულებები ძალაშია შესული და პრემიები დაკისრებულია და გათვალისწინებულია, როგორც საპრემიო შემოსავალი ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო მომსახურების შესაბამისად. ყოველი საანგარიშო თარიღისთვის გამოუმუშავებელი პრემიის საბალანსო ღირებულება გამოითვლება აქტიური პოლისების მიხედვით სადაზღვევო პერიოდის და ყოველი სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადის საფუძველზე. კომპანია გადასინჯავს მის არსებულ რისკებს, რომლებიც არაა ამოწურული, ცალკეული ბიზნეს–მიმართულებების ისტორიულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, რათა დადგინდეს მოსალოდნელი ზარალების ზოგადი ცვლილებები. გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვებს, შესაძლო ზარალების რეზერვებს და ასევე მოსალოდნელ მოთხოვნებს შორის სხვაობები აღიარებულია მოგება/ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში პრემიის დეფიციტის რეზერვის შექმნით.

### გადაზღვევის აქტივები

კომპანია გადასცემს სადაზღვევო რისკს ჩვეულებრივი საქმიანობისას ყველა მის საქმიანობაზე, ჯანმრთელობის დაზღვევის გარდა. გადაზღვევის აქტივები წარმოადგენს გადამზღვეველი კომპანიების მიერ გადასახდელ ნაშთებს. გადამზღვეველებისგან მისაღები თანხები შეფასება ხდება დაახლოებით ისე, როგორც ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის ან გადამზღვეველის პოლიტიკასთან დაკავშირებული დარეგულირებული ზარალი და შეესაბამება გადაზღვევის შესაბამის ხელშეკრულებას.

გადამზღვეველის წილი თითოეული ამოუწურავი რისკის რეზერვისთვის აღიარებულია იმავე საფუძველზე. გადაზღვევის აქტივების აღიარება წყდება, როდესაც როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აღმოფხვრილია ან იწურება ან როდესაც ხელშეკრულება გადაეცემა სხვა მხარეს.

*ურთიერთჩათვლა*

გადაზღვევის აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ურთიერთჩათვლას და ნეტო თანხა შეიტანება ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს სამართლებრივად მოქმედი უფლება აღიარებული თანხების ჩასათვლელად და აგრეთვე არის ანგარიშსწორების ნეტო–საფუძველზე განხორციელების, ან გადაზღვევის აქტივის რეალიზაციის განზრახვა, რითიც იმავდროულად მოხდება გადაზღვევის ვალდებულების შესრულებაც. შესაბამისი შემოსავალი და ხარჯი არ იქნება ურთიერთჩათვლილი კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ეს საჭირო ან ნებადართული არ არის რომელიმე საბუღალტრო სტანდარტის ან ინტერპრეტაციის თანახმად. ასეთი შემთხვევები ცალკე განისაზღვრება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით.

### გადავადებული საკომისიო ხარჯები

ფინანსური პერიოდის განმავლობაში წარმოქმნილი საკომისიო ხარჯები, რომლებიც უკავშირდება სადაზღვევო ხელშეკრულებების შექმნას ან განახლებას, გადავადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ეს ხარჯები ამოსაღებია მომავალი პრემიებიდან. შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯის აღიარება, როგორც ხარჯის, ხდება მისი გაწევისთანავე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ხდება ზოგადი დაზღვევის და ჯანმრთელობის პროდუქტების შეძენის

**3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

**გადავადებული საკომისიო ხარჯები (გაგრძელება)**

გადავადებული ხარჯების (DAC) ამორტიზაცია იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც მიღებული იქნა შესაბამისი შემოსავლები.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები, მათ შორის, მფლობელის მიერ დაკავებული ქონება, ფასდება თვითღირებულებით, ყოველდღიური მომსახურების ღირებულების გარდა, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გამოცვლის ან ძირითადი შემოწმების ხარჯების კაპიტალიზაცია ხდება ამ ხარჯების გაწევისას და, თუ სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი ამ პუნქტთან დაკავშირებით მიემართება ორგანიზაციაში და შესაძლებელია პუნქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ამორტიზაცია გათვალისწინებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე შემდეგი კლასების აქტივების სასარგებლო გამოყენების პერიოდისთვის:

- შენობები: 20 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები: 5 წელი
- სამედიცინო ხელსაწყოები და აპარატურა: 5 წელი
- ავეჯი და ინვენტარი: 5–დან 10 წლამდეs
- საიჯარო ქონების გაუმჯობესება: 7 წელი

ამ აქტივების ნარჩენი ღირებულებების, სასარგებლო გამოყენების ვადების და ამორტიზაციის მეთოდების განხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო შესწორება ხდება ყოველი ფინანსური წლისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, ხდება პერსპექტიული შესწორება.

გაუფასურების განხილვა სრულდება, როდესაც არსებობს მაჩვენებლები, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ აღდგეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ხარჯის სახით.

ძირითადი საშუალებების პუნქტის აღიარების შეწყვეტა ხდება განკარგვის შემდეგ ან როდესაც არაა მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი გამოყენებისა ან განკარგვიდან. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აქტივის აღიარების შეწყვეტისას (გამოითვლება როგორც სხვაობა განკარგვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აქტივის აღიარების შეწყვეტის წელს.

მშენებარე აქტივების ღირებულება შედგება ძირითადი საშუალებების უშუალოდ მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯებისგან, მათ შორის, მშენებლობისას გაწეული პირდაპირ მიკუთვნებული ცვლადი და ფიქსირებული ზედნადები ხარჯების შესაბამისი განაწილება. ამ აქტივების ამორტიზაცია, იმავე საფუძველზე, როგორც მსგავსი ქონებისა, იწყება აქტივების ექსპლუატაციაში შეყვანისას.

საიჯარო ქონების გაუმჯობესების ამორტიზაცია ხდება იჯარით აღებული შესაბამისი აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულებების, სასარგებლო გამოყენების ვადების და მეთოდების განხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო შესწორება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

**საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება საწყისი ღირებულებით, გარიგების ღირებულების ჩათვლით. საბალანსო ღირებულება მოიცავს არსებული საინვესტიციო ქონების ნაწილის შეცვლის ღირებულებას იმ დროს, როდესაც გაწეულია, თუ შესრულებულია აღიარების კრიტერიუმები; და გამორიცხავს საინვესტიციო

## 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

### საინვესტიციო ქონება(გაგრძელება)

ქონების ყოველდღიური მომსახურების ღირებულებას.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს ანგარიშგების თარიღისთვის. მოგება ან ზარალი, წარმოქმნილი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებებიდან შედის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ წელს, რომლის განმავლობაშიც წარმოიქმნება.

საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც უკვე განკარგულია, ან როდესაც საინვესტიციო ქონება მუდმივად ამოღებულია გამოყენებიდან და არაა მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი განკარგვიდან. ნებისმიერი მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების ჩამოწერის ან განკარგვისას, აღიარებულია მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ჩამოწერა ან განკარგვა.

საინვესტიციო ქონებაზე ან საინვესტიციო ქონებიდან გადაცემა კეთდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს მესაკუთრის მიერ ობიექტით სარგებლობის დასრულების დადასტურება, სხვა პირის მიერ იჯარით აღება ან მშენებლობის ან განვითარების დასრულება. საინვესტიციო ქონებიდან მესაკუთრის მიერ დაკავებულ ქონებად გადაცემისას, შემდგომი აღრიცხვის მიზნებისთვის ამ ქონების პირობითი ღირებულება წარმოადგენს სამართლიან ღირებულებას მისი გამოყენების ცვლილების დღისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება ხდება საინვესტიციო ქონება, კომპანია ასეთ ქონებას ითვალისწინებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის პრინციპის შესაბამისად , რომელიც მოქმედებდა გამოყენების ცვლილების განხორციელების თარიღამდე.

### საინვენტარო მარაგები

საინვენტარო მარაგების შეფასება ხდება ყველაზე დაბალი ღირებულებით და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით. საინვენტარო მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენაზე, ადგილზე მიტანაზე და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანაზე გაწეულ ხარჯებს. მზა საქონლისა და დაუმთავრებელი სამუშაოს თვითღირებულება მოიცავს ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ნორმალური საოპერაციო მოცულობის საფუძველზე, სესხების ხარჯების გამოკლებით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პირობებში, სამუშაოების დასრულების ხარჯებისა და გაყიდვისთვის აუცილებელი სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის გამოკლებით. მოძველებული ან ნელი მოძრაობის მარაგების უზრუნველყოფა არ ხდება.

### ფინანსური ვალდებულებები

*თავდაპირველი აღიარება და შეფასება*

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და, კრედიტების და სესხების შემთხვევაში, აკლდება უშუალოდ მიკუთვნებული, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს დაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, საბანკო სესხებს, ოვერდრაფტებს და სხვა ვალდებულებებს.

*პროცენტიანი კრედიტები და სესხები*

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, პროცენტიანი კრედიტები და სესხები შემდგომში შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება და ზარალი აღიარებულია მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც ვალდებულების აღიარება

**3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

**საინვენტარო მარაგები (გაგრძელება)**

პროცენტიანი კრედიტები და სესხები (გაგრძელება)

წყდება ისევე, როგორც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (EIR) ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შეძენაზე ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის და მოსაკრებლის ან ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოადგენს EIR–ის განუყოფელ ნაწილს. EIR ამორტიზაცია შედის საპროცენტო ხარჯში მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

*ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ვალდებულებით გათვალისწინებული მოვალეობა იხსნება, ბათილდება ან ამოიწურება.

**სადაზღვევო კრედიტორული დავალიანება**

*თავდაპირველი აღიარება და შეფასება*

სადაზღვევო კრედიტორული დავალიანების აღიარება ხდება, როდესაც გადასახდელია, და ფასდება საწყისი აღიარების დროს მიღებული სამართლიანი ღირებულებით, უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

*სადაზღვევო კრედიტორული დავალიანების აღიარების შეწყვეტა*

სადაზღვევო დავალიანების აღიარება წყდება, როდესაც მოვალეობა ვალდებულების შესაბამისად, შესრულებულია, ბათილდება ან ამოიწურება.

**გადავადებული საკომისიო შემოსავალი**

ფინანსური პერიოდის განმავლობაში გამომუშავებული საკომისიო შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნა გადაცემული გადაზღვევიდან, გადავადებულია და შემდეგ ამორტიზებული იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი გადაზღვევის ღირებულების აღიარება.

**იჯარები**

***ფინანსური იჯარა - კომპანია , როგორც მოიჯარე***

იმის განსაზღვრა, წარმოადგენს თუ არა შეთანხმება იჯარას, ან შეიცავს იჯარას, ეფუძნება შეთანხმების არსს დაწყების თარიღისთვის და საჭიროებს შეფასებას, ამგვარი შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია თუ არა კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე და შეთანხმებით გადაეცემა აქტივის გამოყენების უფლება, მაშინაც კი, თუ ეს უფლება არ არის მკაფიოდ განსაზღვრული შეთანხმებაში. 2005 წლის 1 იანვრამდე დადებული შეთანხმებისთვის, დაწყების თარიღად ითვლება 2005 წლის 1 იანვარი, IFRIC 4 გადაყვანის მოთხოვნების შესაბამისად.

*კომპანია , როგორც მოიჯარე*

ფინანსური იჯარის, რომელიც გადასცემს კომპანიას არსებითად ყველა რისკისა და სარგებელს იჯარით აღებულ საგანთან დაკავშირებით, კაპიტალიზაცია ხდება იჯარის დაწყებისას იჯარით აღებული საკუთრების სამართლიანი ღირებულებით ან, თუ ნაკლებია, იჯარის მინიმალური გადახადების არსებული ღირებულებით. საიჯარო გადახდების განაწილება ხდება ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ბალანსზე. ფინანსური ხარჯები აღიარებულია საპროცენტო ხარჯში მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

იჯარით აღებული აქტივების გაუფასურება ხდება აქტივის სასარგებლო გამოყენების განმავლობაში. თუმცა,

## 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### იჯარები

*კომპანია , როგორც მოიჯარე*

თუ არ არსებობს საფუძვლიანი დარწმუნებულობა იმაში, რომ კომპანია მიიღებს საკუთრებას იჯარის ვადის ბოლოსთვის, აქტივის ამორტიზაცია ხდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ან იჯარის ვადის განმავლობაში, ამათგან რომელიც უფრო ხანმოკლეა.

იჯარა, რომლითაც კომპანიას არსებითად არ გადაეცემა ყველა რისკი და სარგებელი იჯარით აღებული ნივთების საკუთრებასთან დაკავშირებით, არის საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის გადახადები აღიარებულია, როგორც ხარჯი მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში. პირობითი საიჯარო გადასახადები აღიარებულია, როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გაწეულია.

### დაბეგვრა

*მოგების მიმდინარე გადასახადი*

მიმდინარე და წინა პერიოდებში არსებული მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან მისაღები თანხებით. საგადასახადო ტარიფები და საგადასახადო კანონმდებლობა, რომლებიც გამოიყენება მოცემული თანხის დასაანგარიშებლად, და რომლებიც მოქმედებს ან არსებითად შესულია ძალაში საანგარიშო თარიღისთვის იმ ქვეყანაში, სადაც ახორციელებს ოპერაციებს კომპანია და სადაც ხდება მისი გადასახადებს დაქვემდებარებული შემოსავლების გენერირება.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

*გადავადებული გადასახადი*

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გამოითვლება დროებითი სხვაობების გათვალისწინებით ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული მოგების გადასახადი აისახება ყველა იმ დროითი სხვაობის მიხედვით, რომლებიც წარმოიშობა აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო საფუძვლებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ წარმოადგენს ბიზნეს კომბინაციას და ტრანზაქციის განხორციელების მომენტისთვის ის არ ახდენს გავლენას არც მოგების აღრიცხვაზე და არც გადასახადებს დაქვემდებარებულ მოგებასა ან ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი გაცხადდება მხოლოდ იმ ხარისხით, რომლითაც არსებობს გადასახადს დაქვემდებარებული მოგების მიღების ალბათობა და რომლის მიმართ შესაძლებელია გაქვითვადი დროებითი სხვაობების გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენება მოსალოდნელი იქნება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება აქტივის რეალიზაცია ან ვალდებულების დაფარვა, იმ საგადასახდო განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მიღებული იქნა ან არსებითად შევიდა ძალაში საანგარიშო თარიღისთვის.

მოგების გადავადებული გადასახადი აისახება შვილობილ და ასოცირებულ კომპანიებში და ერთობლივ საწარმოებში ინვესტირებით გამოწვეული დროებითი სხვაობებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დროებითი სხვაობის რევერსირება ექვემდებარება კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ დროებითი სხვაობა არ შეიცვლება უახლოეს მომავალში.

მოგების გადავადებული გადასახადი, რომელიც შეეხება უშუალოდ კაპიტალში აღიარებულ სტატიებს, აღიარებული იქნება კაპიტალში და არა მოგება–ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. მოგების გადავადებული გადასახადის აქტივების და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ჩათვლა

## 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### დაბეგვრა (გაგრძელება)

*გადავადებული გადასახადი (გაგრძელება)*

მოხდება თუ არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების მიმართ ჩათვლის სამართლებრივად გამყარებული უფლება და მოგების გადავადებული გადასახადები ეხება იმავე საგადასახადო სუბიექტს და იმავე საგადასახადო ორგანოს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გამოიყენება კომპანიის საქმიანობის მიმართ. ეს გადასახადები წარმოადგენს სხვა საოპერაციო ხარჯების კომპონენტს.

### არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივების თავდაპირველი შეფასება ხდება შეძენის ღირებულების მიხედვით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივების ასახვისას შეძენის ღირებულებას აკლდება აკუმულირებული ამორტიზაციით და აკუმულირებული გაუფასურებით დაგროვილი ზარალი. სუბიექტის შიგნით შექმნილი არამატერიალური აქტივების, განვითარების კაპიტალიზებული ხარჯების გარდა, კაპიტალიზაცია არ ხდება და ხარჯები აისახება მოგება–ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც ეს ხარჯები იქნა გაწეული.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება როგორც განსაზღვრული ან განუსაზღვრელი.

განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება სასარგებლო გამოყენების ფარგლებში და მისი გაუფასურების შეფასება ხდება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნიშნები, რომ შეიძლება მოხდეს არამატერიალური აქტივის გაუფასურება. განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდის და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდის გაანალიზება ხდება მინიმუმ ერთხელ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადის ან აქტივში ჩადებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის სავარაუდო სტრუქტურის ცვლილებები გათვალისწინებულია ამორტიზაციის ვადის ან მეთოდის შეცვლით, საჭიროების მიხედვით, და ჩაითვლება, როგორც ბუღალტრული შეფასების ცვლილება. განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯები აღიარებული იქნება მოგება–ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციის შესაბამის ხარჯების კატეგორიაში.

- კომპიუტერული უზრუნველყოფის თანხლება: 5 წელი

არამატერიალური აქტივის ჩამოწერის შედეგად მიღებული მოგება–ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა განკარგვიდან სუფთა შემოსულობებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მისი აღიარება ხდება მოგება–ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივის ჩამოწერისას.

### რეზერვები და პირობითი ვალდებულებები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლებიც გამომდინარეობს წინა წლებიდან და არსებობს იმის ალბათობა, რომ საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად და არსებობს ვალდებულების ოდენობის საიმედო შეფასების შესაძლებლობა.

თუ კომპანიას აქვს გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოლოდინი, მაგალითად დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების თანხა აისახება, როგორც ცალკე აქტივი, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როდესაც უფრო მეტია ანაზღაურების მიღების, ვიდრე არ მიღების ალბათობა.

### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ

**3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

**პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**

ანგარიშგებაში, მაგრამ ისინი უნდა გაიშიფროს, თუ არსებობს მათი დაფარვის შედეგად სახსრების გადინების შესაძლებლობა. პირობითი აქტივის აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, მაგრამ გაშიფრვა ხდება, როდესაც ჩნდება ეკონომიკური სარგებლის შემოდინების შესაძლებლობა.

**სახელმწიფო სუბსიდიები**

სახელმწიფო სუბსიდიები წარმოადგენს სახელმწიფო ხელშეწყობას ორგანიზაციისთვის, მისთვის რესურსების გაცემის სახით, ორგანიზაციის საოპერაციო საქმიანობის წარსულში ან მომავალში გარკვეულ პირობებთან შესაბამისობის სანაცვლოდ. ისინი არ განეკუთვნება სახელმწიფო დახმარების ისეთ სახეობას, რომელსაც არ შეიძლება ჰქონდეს მათზე მინიჭებული გონივრული ღირებულება და არ არის სახელმწიფოსთან დადებული ისეთი გარიგება, რომელიც არ განსხვავდება ორგანიზაციის ჩვეულებრივი კომერციული ოპერაციებისგან.

აქტივებთან დაკავშირებული სუბსიდიები წარმოადგენს სახელმწიფო სუბსიდიებს, რომელთა ძირითადი პირობაა, რომ მის მისაღებად კვალიფიციურმა ორგანიზაციამ უნდა შეისყიდოს, ააშენოს ან სხვაგვარად შეიძინოს გრძელვადიანი აქტივები. შესაძლოა თან ერთვოდეს შვილობილ კომპანიებთან დაკავშირებული პირობები, რომლებიც ზღუდავს აქტივის ტიპს ან მის მდებარეობას ან პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნას ის შეძენილი. აქტივებთან დაკავშირებული სუბსიდიების გარდა არსებობს შემოსავალთან დაკავშირებული სახელმწიფო სუბსიდიები.

*აქტივებთან დაკავშირებული სუბსიდიების პრეზენტაცია*

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო სუბსიდიები, მათ შორის არაფულადი სუბსიდიები სამართლიანი ღირებულებით, წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და განსაზღვრულია როგორც გადავადებული შემოსავალი.

გადავადებული შემოსავლის აღიარება მოხდება მოგებაში ან ზარალში სისტემატურ საფუძველზე აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდის განმავლობაში.

**სააქციო კაპიტალი**

*სააქციო კაპიტალი*

სააქციო კაპიტალი აღიარებულია თვითღირებულებით. სააქციო კაპიტალი, რომელიც შეტანილია არაფულად აქტივებში, აისახება ასეთი აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეტანის თარიღისთვის.

*დივიდენდები*

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების თარიღით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი განცხადებულია ანგარიშგების თარიღამდე ან ანგარიშგების თარიღით. ინფორმაციის გახსნა დივიდენდების შესახებ ხდება, როდესაც ისინი შემოთავაზებულია ანგარიშგების თარიღამდე ან შემოთავაზებულია ან განცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე.

**შემოსავლების და ხარჯების აღიარება**

*პრემიებიდან მიღებული მოგება*

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებიდან მიღებული პრემიები აღიარებულია შემოსავლად მაშინ, როდესაც გადასახდელია დაზღვეულების მიერ, გარდა ინვესტიციებთან დაკავშირებული პრემიებისა, რომლებიც აღირიცხება, როდესაც ხდება შესაბამისი ვალდებულებების აღიარება. ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ითვალისწინებს ერთჯერად პრემიას, ეს არის თარიღი, რომლიდანაც პოლისი შედის ძალაში. ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ითვალისწინებს პრემიების რეგულარულ გადახდას, მისაღები თანხები

## 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### შემოსავლების და ხარჯების აღიარება (გაგრძელება)

*პრემიებიდან მიღებული მოგება (გაგრძელება)*

აღირიცხება იმ თარიღს, როდესაც განსახორციელებელია გადახდა.

არა–სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებისთვის მოზიდული პრემიების აღიარება ხდება პოლისის ძალაში შესვლის დღიდან და გამომუშავებულია პროპორციულად, შესაბამისი პოლისის მოქმედების განმავლობაში.

მოზიდული პრემიების წინასწარი შეფასებები, რომლებიც ჯერ არაა მიღებული საანგარიშო თარიღისთვის, ხდება სადაზღვევო ან წარსული გამოცდილების შეფასების საფუძველზე და შედის გამომუშავებულ პრემიებში.

პრემიები ნაჩვენებია საკომისიოს და გაყიდვების საფუძველზე გადასახდელი გადასახადების ან მოსაკრებლების გამოქვითვამდე. როდესაც პოლისი ძალადაკარგულად მიიჩნევა პრემიების მიუღებლობის გამო, ყველა შესაბამისი შემოსავალი პრემიიდან, რომელიც დარიცხულია, მაგრამ არაა მიღებული თარიღიდან, როდესაც მიიჩნევა ძალადაკარგულად, ჩამოიწერება პრემიებიდან.

ზოგადი და ჯანმრთელობის დაზღვევის მოზიდული პრემიები ასახავს წლის განმავლობაში დაწყებულ ბიზნესს, და გამორიცხავს რაიმე გადასახადებს ან მოსაკრებლებს გაყიდვების საფუძველზე. გამოუმუშავებელი პრემიები წარმოადგენს წლის განმავლობაში მოზიდული პრემიების ისეთ პროპორციას, რომელიც, დაკავშირებულია რისკის პერიოდებთან საანგარიშო თარიღის შემდეგ. გამოუმუშავებელი პრემიების გაანგარიშება, ძირითადად, ხდება ყოველდღიურად ან ყოველთვიურად პროპორციულობის საფუძველზე. შუამავლების მიერ შეგროვილი, მაგრამ ჯერ მიუღებელი პრემიები ფასდება სადაზღვევო ან წარსული გამოცდილების შეფასების საფუძველზე და შედის მოზიდული პრემიებში.

*გადაცემული პრემიები*

პრემიები, რომლებიც გადასახდელია გადაცემულ გადაზღვევასთან დაკავშირებით, აღიარებულია იმ პერიოდში, როდესაც დაიდო გადაზღვევის ხელშეკრულება და მოიცავს შეფასებებს, სადაც თანხები არ არის დადგენილი ანგარიშგების თარიღისთვის. პრემიის ხარჯებში გატარება ხდება გადაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, გამოითვლება ძირითადად ყოველდღიური თანაბარი პროპორციის საფუძველზე.

*გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი*

მოზიდული პრემიების წილი, რომლებიც მიეკუთვნება მომდევნო პერიოდებს, გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება აღებულია მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ისე, რომ შემოსავლების აღიარება ხდება რისკის პერიოდის განმავლობაში, ან წლიური გადახდისთვის, მოსალოდნელი მომავალი სარგებლის გადახდების ოდენობა.

*გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი*

სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით დაზღვეულებს ეკისრებათ პოლისის ადმინისტრირების, ინვესტიციების მართვის მომსახურების და უარის თქმის საფასური. საფასური აღიარებულია როგორც შემოსავალი იმ პერიოდში, როდესაც მიღებულია, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ეს ეხება მომავალში გასაწევ მომსახურებას.

*გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი*

შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან აღიარებულია იმდენად, რამდენადაც სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება დარიცხვის საფუძველზე. როდესაც მომსახურების გაწევა ხდება განსხვავებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ, შემოსავლები ფასდება მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულებით და ხდება შესწორება რაიმე გადარიცხული ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით. როდესაც

**3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

**შემოსავლების და ხარჯების აღიარება (გაგრძელება)**

*გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი* (გაგრძელება)

მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება ვერ ხერხდება, შემოსავლები ფასდება გაცემული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულებით და ხდება შესწორება რაიმე გადარიცხული ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით.

*გაწეული სამედიცინო მომსახურების ფასი*

გაწეული სამედიცინო მომსახურების ფასი წარმოადგენს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან შემოსავლების წარმოქმნასთან, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მედპერსონალის ხელფასებით და ანაზღაურებით, მედიკამენტებისა და სხვა ინვენტარის ღირებულებით. სამედიცინო მომსახურების ღირებულება მიეკუთვნება ხარჯებს იმ პერიოდში, როდესაც ხდება სამედიცინო მომსახურების გაწევა.

*რეალიზებული მოგება და ზარალი, ჩაწერილი მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში*

რეალიზებული მოგება და ზარალი ძირითადი საშუალებების და გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების გაყიდვაზე, გამოითვლება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავლებსა და საწყის ან ამორტიზებულ ღირებულებას შორის. რეალიზებული მოგების და ზარალის აღიარება მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხდება მას შემდეგ, რაც მოხდება გაყიდვის გარიგება.

**სარგებელი და ზარალები**

სიცოცხლის დაზღვევის ზარალები ასახავს წლის განმავლობაში დამდგარი ყველა ზარალის ღირებულებას, მათ შორის, ზარალის დარეგულირების ხარჯებს. ზარალები და გადაცემა აღირიცხება მიღებული შეტყობინებების საფუძველზე. დაფარვის ვადები და წლიური გადასახადები აღირიცხება, როდესაც გადასახდელი. სარგებელი აღირიცხება, როდესაც დაირიცხება ვალდებულებაზე.

წარმოშობილი ზოგადი სადაზღვევო ზარალები მოიცავს წლის განმავლობაში არსებულ ყველა სადაზღვევო ზარალს, მიუხედავად იმისა, შეტყობინებულია თუ არა, მათ შორის მართვის თანმდევ ხარჯებს და გადარჩენის ღირებულების შემცირებას, ასევე სხვა კომპენსაციებს და წინა წლების განმავლობაში არსებული აუნაზღაურებელი ზარალის კორექტირებებს.

ზარალების მართვის ხარჯები მოიცავს შიდა და გარე გაწეულ ხარჯებს, რომლებიც უკავშირდება მოლაპარაკებებსა და მოგვარებას. შიდა ხარჯები მოიცავს ზარალების მართვის დეპარტამენტის ყველა ხარჯს და საერთო ადმინისტრაციული ხარჯების ნებისმიერ ნაწილს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ზარალების მართვას.

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ და წარმომადგენლობით ვალუტას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად მოცემულია ფუნქციონალურ ვალუტაში, რომელიც კონვენტირებულია ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის არსებული კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ანგარიშგების დღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის გადაყვანით განხორციელებული ტრანზაქციების შედეგად მიღებული მოგება–ზარალი აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება–ზარალის ანგარიშგებაში, როგორც შემოსავალი, უცხოური სავალუტო ოპერაციების ხარჯების გამოკლებით – კურსის სხვაობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს დაკავშირებულია პუნქტებთან, როდესაც მოგება–ზარალის აღიარება უშუალოდ კაპიტალში ხდება და ისინი კაპიტალში აისახება გაცვლითი კომპონენტის გათვალისწინების გარეშე. ის არაფულადი მუხლები, რომლებიც

## 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### უცხოური ვალუტის კონვერტაცია (გაგრძელება)

ფასდება ისტორიული ღირებულების მიხედვით უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება თავდაპირველი ტრანზაქციის დღისთის დადგენილი კურსით. არაფულადი პუნქტები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულების მიხედვით უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება სამართლიანი ღირებულების დადგენის დღისთვის მოქმედი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციების სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციების განხორციელების დღისთვის დადგენილ ოფიციალურ კურსს შორის სხვაობები შეტანილია შემოსავალში უცხოური სავალუტო ოპერაციების ხარჯების გამოკლებით. 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი იყო 1.8636 და 1.7363 ქართული ლარი 1 აშშ დოლარის მიმართ, შესაბამისად.

## 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, დაშვებები და გადაწყვეტილებები

### შეფასებების, დაშვებების და გადაწყვეტილებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების, დაშვებების და გადაწყვეტილებების გამოყენებას. ეს შეფასებები და დაშვებები გავლენას ახდენს ანგარიშგების დღისთვის გაცხადებული აქტივების და ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების თანხებზე, ისევე როგორც ანგარიშგებაში შეტანილ წლიურ შემოსავლებსა და ხარჯებზე. თუმცა შეფასებები ეფუძნება ხელმძღვანელობის ხელთ არსებულ ინფორმაციას და საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ ფაქტებს, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

### შეფასებების გაურკვევლობა

მომავალი მოვლენების მიმართ ძირითადი დაშვებები და აგრეთვე ანგარიშგების დღისთვის შეფასებების გაურკვევლობის სხვა წყაროები, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვან რისკს, რომ აუცილებელი გახდება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში, განხილულია ქვემოთ:

*ვალდებულება ზარალების მიხედვით, რომელიც წარმოიქმნება დაზღვევის ხელშეკრულებებიდან*

საბოლოო ვალდებულების შეფასება, რომელიც წარმოიქმნება ზარალებიდან სიცოცხლისა და ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების მიხედვით, არის კომპანიის ყველაზე კრიტიკული საბუღალტრო შეფასება. არსებობს გაურკვევლობის რამდენიმე წყარო, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ვალდებულების შეფასებისას, რასაც კომპანია საბოლოოდ გადაიხდის ამ ზარალებისთვის.

a) *სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები*

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებისთვის არ არსებობს ზარალების ვალდებულება, ვინაიდან სიცოცხლის დაზღვევის ერთადერთი პროდუქტი არის დაზღვევის წლიური ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება განახლდეს, რომლის მიხედვითაც მოსარგებლეს გადაუხდიან ფიქსირებული თანხას, თუ დაზღვეული ადამიანი გარდაიცვლება იმ წლის განმავლობაში.

b) *ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები*

ზოგადი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც ანგარიშგების თარიღისთვის მოხსენებული ზარალების მოსალოდნელი საბოლოო ღირებულებისთვის, ისევე დამდგარი, მაგრამ ანგარიშგების თარიღისთვის ჯერ მოუხსენებელი (IBNR) ზარალების მოსალოდნელი საბოლოო ღირებულებისთვის. ზარალის საბოლოო ღირებულების დანამდვილებით დადგენას შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს. ზოგადი დაზღვევის ზარალებზე რეზერვების დისკონტირება ფულის დროითი ღირებულებით

## 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, დაშვებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

### შეფასებების გაურკვევლობა (გაგრძელება)

*ვალდებულება ზარალების მიხედვით, რომელიც წარმოიქმნება დაზღვევის ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)*

*ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)*

არ ხდება.

*გაუფასურების რეზერვი სადაზღვევო დებიტორული დავალიანების და გადაზღვევის აქტივებისთვის*

კომპანია რეგულარულად ახორციელებს თავისი სადაზღვევო დებიტორული დავალიანებების და გადაზღვევის აქტივების გადახედვას გაუფასურების შესაფასებლად. თანმიმდევრულად გამოყენებულია რეზერვის მეთოდი.

აღრიცხვის მიზნით კომპანია იყენებს დამდგარი ზარალის მოდელს ზარალის აღიარებისთვის გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე. ეს ნიშნავს, რომ დანაკარგები შეიძლება იყოს აღიარებული მხოლოდ როდესაც ზარალის კონკრეტული ფაქტის ობიექტური მტკიცებულება იქნა დაფიქსირებული. გამომწვევი მოვლენები მოიცავს მომხმარებლის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს და/ან ხელშეკრულების დარღვევას, როგორიცაა გადახდის დეფოლტი.

რეზერვის ოდენობა მცირდება დებიტორული დავალიანების ოდენობით, რომელიც ფორმალურად აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს, მაგრამ რომელთან დაკავშირებითაც კომპანიას აქვს სათანადო საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ვალი იქნება ამოღებული.

ვალდებულებათა გადასვლის ანალიზები მხარს უჭერს ამ მიდგომას. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება არის ის, რომ მომავალში ტენდენციები არ შეიცვლება, და რომ ეს მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნას, ამოსაღები ვალების ოდენობის დასადგენად საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

დაუბრუნებელი თანხები და კონკრეტული საკრედიტო რისკები ჩამოიწერება უშუალო დაკისრებით მთლიან პრემიებზე. გაუფასურების რეზერვები წარსული გამოცდილების საფუძველზე აუცილებელია დაზღვეულებისგან და აგენტების/ბროკერებისგან მისაღებ დავალიანებასთან დაკავშირებით პირდაპირი დაზღვევაზე და პარტნიორებთან დაკავშირებით გადაზღვევაზე.

*საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასება*

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი პროფესიულად კვალიფიცირებული შემფასებლების მიერ. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გაყიდვების შედარების მეთოდის გამოყენებით. შეფასება შეიძლება შეიცვალოს, როდესაც ხელმისაწვდომი გახდება ახალი გარიგების და საბაზრო მტკიცებულებების მონაცემები.

## 5 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

| | აი სი ჯგუფი | 2014 | 2013 |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრების ნაშთი სალაროში | 5 | 5 | 178 |
| მიმდინარე ანგარიშები | 804 | 856 | 1,319 |
| **სულ** | 809 | 861 | **1,497** |

შპს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფის“ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ავტონომიურ საფუძველზე შეადგენს 809 **ლარს.** მარეგულირებელი მოთხოვნა არის ფულადი სახსრების და

## 5 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები (გაგრძელება)

ფულადი სახსრების ეკვივალენტების მინიმალური დონის შენარჩუნება დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებების 10%, რაც ექვემდებარება რეზერვირებას, მარეგულირებელი სარეზერვო მოთხოვნის რეზოლუციით, რაც საანგარიშო თარიღისთვის შეადგენს 397 ლარს (3,974*10%).

მიმდინარე ანგარიშებზე ნაშთის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

| | აი სი ჯგუფი | 2014 | 2013 |
|---|---|---|---|
| სს „ვი-თი-ბი ბანკი“ | 473 | 477 | 403 |
| სს „კორსტანდარტ ბანკი“ | 217 | 217 | 68 |
| სს „ხალიკ ბანკი საქართველო“ | 19 | 19 | 10 |
| სს „თი-ბი-სი ბანკი“ | 72 | 74 | 709 |
| სხვა ბანკები | 23 | 69 | 129 |
| **სულ** | **804** | **856** | **1,319** |

ზემოთ მოყვანილი საბალანსო ოდენობები გონივრულად შეესაბამება სამართლიან ღირებულებას საანგარიშო თარიღისთვის.

## 6 საკრედიტო დაწესებულებებისან მისაღები თანხები

საკრედიტო დაწესებულებებისან მისაღები თანხები 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| სს „კორსტანდარტ ბანკი“ | 2,899 | 2,891 |
| სს „პრივატ ბანკი“ | 1,829 | 1,701 |
| სს „სილქ როუდ ბანკი“ | 1,020 | 2,002 |
| სს „ვი-თი-ბი ბანკი“ | 745 | – |
| სს „თი-ბი-სი ბანკი“ | 745 | – |
| **სულ** | **7,238** | **6,594** |

საკრედიტო დაწესებულებებისან მისაღები თანხები წარმოდგენილი საშუალოვადიანი (12 თვე - 24 თვე) დეპოზიტების სახით ქართულ ბანკებში და მიიღება წლიური პროცენტი 6.5%-დან 14%-მდე (2013: 6.5%-დან 14%-მდე).

საკრედიტო დაწესებულებებისან მისაღები თანხები 1,677 ლარის (2013: 1,389 ლარი) ოდენობით, გამოიყენება როგორც კომპანიის ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (შენიშვნა 16).

საკრედიტო დაწესებულებებისან მისაღები თანხები ასევე მოიცავს 3,577 ლარს (2013: 3,711 ლარი) შეზღუდული დეპოზიტების სახით სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაზღვევის საქართველოს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მარეგულირებელი მოთხოვნის შესაბამისად.

## 7 დაზღვევის და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება

დაზღვევის და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| დაზღვეულებისგან მისაღები | 9,328 | 23.515 |
| | – | – |
| | **9,328** | **23.515** |
| გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი (შენიშვნა 29) | (3,395) | (3,056) |
| **სულ** | **5,933** | **20,459** |

ზემოთ მოყვანილი საბალანსო თანხები გონივრულად შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას წლის ბოლოს.

## 8 გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება

გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება | 8,510 | 7,451 |
| გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი (შენიშვნა 29) | (6,641) | (5,486) |
| **სულ** | **1,869** | **1,965** |

დებიტორული დავალიანება სესხებზე (ძირითადი თანხა და პროცენტი ამორტიზებული ღირებულებით) შეადგენს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები | 123 | 1,442 |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები | 441 | 523 |
| იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები | 1,305 | - |
| **სულ** | **1,869** | **1,965** |

სესხი დაკავშირებულ მხარეებზე გაიცემა საპროცენტო განაკვეთით 14.%.

სესხი ფიზიკურ პირებზე გაიცემა საპროცენტო განაკვეთით 13% - 16%.

სესხების და დებიტორული დავალიანების საბალანსო ოდენობები შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

## 9 დაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები

დაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| **ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით** | | |
| გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი | 8,756 | 20,775 |

| | | |
|---|---|---|
| დაზღვეულების მიერ განცხადებული ზარალების რეზერვები | 12,285 | 13,639 |
| დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვები (IBNR) | 230 | 894 |
| ზარალის დარეგულირების ხარჯების რეზერვი (LAER) | – | 7 |
| **სულ ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით** | **21,271.00** | **35,315.00** |
| **გადაზღვევის აქტივები** | | |
| გადამზღვეველის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში | 4,546 | 1,620 |
| გადამზღვეველის წილი დაზღვეულების მიერ განცხადებული ზარალების რეზერვებში | 11,236 | 12,429 |
| გადამზღვეველის წილი დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვებში | – | - |
| გადამზღვეველის წილი ზარალის დარეგულირების ხარჯების რეზერვში | – | - |
| **სულ გადაზღვევის აქტივები** | **15,782** | **14,049** |
| **ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით გადაზღვევის გამოკლებით** | | |
| გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი | 4,210 | 19,155 |
| დაზღვეულების მიერ განცხადებული ზარალების რეზერვები | 1,049 | 1,210 |
| დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვები (IBNR) | 230 | 894 |
| ზარალის დარეგულირების ხარჯების რეზერვი (LAER) | – | 7 |
| **სულ ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით გადაზღვევის გამოკლებით** | **5,489** | **21,266** |

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაზღვეულების მიერ განცხადებული ზარალების რეზერვები და გადამზღვეველის წილი რეზერვში მოიცავს 10,830 ლარს და 10,830 ლარს (2014: 11,893 და 11,893 ლარი), შესაბამისად, საჰაერო ხომალდის კორპუსის და TPL (მესამე მხარის ვალდებულება) დაზღვევაზე „საქართველოს ავიახაზების მიერ მოხსენებულ ზარალთან დაკავშირებით. პოლისი 100%–ით იყო გადაზღვეული სადაზღვევო ბროკერთან შპს „მარშთან" გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში.

ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

| | | **2014** | | | **2013** | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შენიშვნები | ვალდებულებებ ი დაზღვევის ხელშეკრულებები ს მიხედვით | გადამზღვეველის წილი ვალდებულებებში დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით | *წმინდა* | ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით | გადამზღვეველის წილი ვალდებულებებში დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით | *წმინდა* |
| სიცოცხლის დაზღვევა | (a) | 165 | 2 | 163 | 100 | 4 | 96 |
| ზოგადი დაზღვევა | (b) | 21,106 | 15,780 | 5,326 | 35,215 | 14,045 | 21,170 |
| **სულ დაზღვევის ხელშეკრულებები** | | **21,271** | **15,782** | **5,489** | **35,315** | **14,049** | **21,266** |

(a) სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით ვალდებულებების მოძრაობა წლის განმავლობაში:

## 9 დაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

| | შენიშვნები | 2014 | | | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით | გადამზღვეველის წილი ვალდებულებებში | *წმინდა* | ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით | გადამზღვეველის წილი ვალდებულებებში | *წმინდა* |
| 1 იანვარს | | 100 | 4 | 96 | 230 | - | 230 |
| წლის განმავლობაში მოზიდული პრემიები | *21* | 277 | 5 | 272 | *112* | *10* | *102* |
| წლის განმავლობაში გამომუშავებული პრემიები | | (286) | (7) | (279) | (140) | (6) | (134) |
| მიმდინარე სადაზღვევო წლის განმავლობაში დამდგარი ზარალი | | 98 | 5 | 93 | (77) | 4 | (81) |
| წლის განმავლობაში გადახდილი ზარალები | 25 | (24) | (5) | (19) | (25) | (4) | (21) |
| **31 დეკემბერს** | | **165** | **2** | **163** | **100** | **4** | **96** |

(b) ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით ვალდებულებები გაანალიზებულია ქვემოთ. რეზერვები ზარალების დასარეგულირების ხარჯებისთვის შედის დაზღვევო ხელშეკრულებების მიხედვით მთლიან ვალდებულებებში.

| | შენიშვნები | 2014 | | | 2014 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულებების | გადამზღვეველის წილი ვალდებულებებში | *წმინდა* | ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით | გადამზღვეველის წილი ვალდებულებებში | *წმინდა* |
| დაზღვეულების მიერ განცხადებული ზარალების რეზერვები | | 12,195 | 11,236 | 959 | 13,614 | 12,429 | 1,185 |
| დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვები | | 216 | - | 216 | 889 | - | 889 |
| **გადაუხდელი ზარალის რეზერვი** | (1) | **12,411** | **11,236** | **1,175** | **14,503** | **12,429** | **2,074** |
| გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი | (2) | 8,695 | 4,544 | 4,151 | 20,705 | 1,616 | 19,089 |
| ზარალის დარეგულირების ხარჯების რეზერვი | | – | – | – | 7 | – | 7 |
| **სულ ვალდებულებები ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებთან დაკავშირებით** | | **21,106** | **15,780** | **5,326** | **35,215** | **14,045** | **21,170** |

## 9 დაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

(1) დაზღვეულების მიერ განცხადებული ზარალების რეზერვი, წლის განმავლობაში გადახდილი ზარალები და ზარალის დარეგულირების ხარჯები შეიძლება გაანალიზებულ იქნეს, როგორც მოცემულია ქვემოთ:

| | | 2014 | | | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შენიშვნები | ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით | გადამზღვევლის წილი ვალდებულებებში | *წმინდა* | ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით | გადამზღვევლის წილი ვალდებულებებში | *წმინდა* |
| **1 იანვარს** | | **14,503** | **12,429** | **2,074** | **26,484** | **19,976** | **6,508** |
| მიმდინარე სადაზღვევო წლის განმავლობაში დამდგარი ზარალები | 25 | 12,426 | 1,447 | **10,979** | 21,550 | 1,590 | **19,960** |
| წლის განმავლობაში გადახდილი ზარალები | | (14,511) | (2,640) | **(11,871)** | (33,507) | (9,137) | **(24,370)** |
| LAER ცვლილება | | (7) | - | **(7)** | (24) | – | **(24)** |
| **31 დეკემბერს** | | **12,411** | **11,236** | **1,175** | **14,503** | **12,429** | **2,074** |

(2) გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი შეიძლება გაანალიზებულ იქნეს, როგორც მოცემულია ქვემოთ:

| | | 2014 | | | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შენიშვნები | ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით | გადამზღვევლის წილი ვალდებულებებში | *წმინდა* | ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით | გადამზღვევლის წილი ვალდებულებებში | *წმინდა* |
| **1 იანვარს** | | **20,706** | **1,616** | **19,090** | **24,170** | **3,964** | **20,206** |
| წლის განმავლობაში მოზიდული პრემიები | 21 | 11,311 | 6,625 | **4,686** | 42,558 | 3,160 | **39,398** |
| წლის განმავლობაში გამომუშავებული | | (23,322) | (3,697) | **(19,625)** | (46,023) | (5,508) | **(40,515)** |
| **31 დეკემბერს** | | **8,695** | **4,544** | **4,151** | **20,706** | **1,616** | **19,090** |

### ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულებების მიხედვით და გადაზღვევის აქტივები - პირობები, დაშვებები და სისუსტეები

*(a) სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები*

(1) პირობები

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები, რომლებსაც სთავაზობს კომპანია, შედგება მხოლოდ ჩვეულებრივი სადაზღვევო ხელშეკრულებებისგან ყოველწლიურად განახლებადი ვადით, სადაც სიკვდილის შემთხვევაში გადაიხდება სარგებელი ერთიანი თანხის სახით.

## 9 დაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

### ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულებების მიხედვით და გადაზღვევის აქტივები - პირობები, დაშვებები და სისუსტეები (გაგრძელება)

*სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)*

(2) ძირითადი დაშვებები

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების პრემიები ეფუძნება გადაზღვევის კომპანიის მიერ დაწესებულ პრემიებს. ამ სადაზღვევო ხელშეკრულებების მიხედვით, რომლებიც ყოველწლიურად განახლდება, სარგებელი ერთიანი თანხის სახით გადაიხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული პირი გარდაიცვალა იმ წლის განმავლობაში. საანგარიშო თარიღისთვის, პროპორციული გამოუმუშავებელი პრემია სადაზღვევო წლისთვის გადადებულია სექციაში „ვალდებულებები დაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით“.

*(b) ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები*

(1) პირობები

ზოგადი დაზღვევის ძირითადი კლასები, რომლებსაც ახორციელებს კომპანია, მოიცავს შემდეგს: სატვირთო, საავტომობილო, საყოფაცხოვრებო, უძრავი ქონების, საექსპედიტორო პასუხისმგებლობის, პროფესიული ანაზღაურება, ფინანსური რისკების, ჯანმრთელობისა და ავიაციის. რისკები ასეთ პოლისის ფარგლებში, როგორც წესი, მოიცავს თორმეტთვიან პერიოდს.

ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებისთვის ზარალების რეზერვები (რომლებიც მოიცავს დაზღვეულების მიერ მოხსენებულ ზარალების და დამდგარი, მაგრამ ჯერ მოუხსენებელი ზარალების რეზერვებს) იქმნება ვალდებულებების მოგვარების საბოლოო ღირებულების დასაფარად იმ ზარალებთან დაკავშირებით, რომლებიც დამდგარი და შეფასებულია ცნობილი ფაქტების საფუძველზე ანგარიშგების თარიღისთვის.

რეზერვები გადაიხედება ყოველთვიურად, რეგულარული მიმდინარე პროცესის ფარგლებში, ზარალების განვითარებასთან ერთად, გარკვეული ზარალები მოგვარდება, და შემდგომ სხვათა მოხსენება ხდება. გადაუხდელი ზარალების რეზერვების დისკონტირება არ ხდება ფულის დროითი ღირებულებით.

*დაშვებები*

IBNR რეზერვის გასაანგარიშებლად ვალდებულების შესაბამისობის ტესტის ჩათვლით, იხ. შენიშვნა 3 – სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

დაზღვევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებები საქართველოში განხორციელებული დაზღვევისთვის, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ვალუტის კურსის ცვლილებაზე, ვინაიდან ამ ხელშეკრულებების სადაზღვევო ღირებულება დენომინირებულია აშშ დოლარში (იხ.სავალუტო რისკის ანალიზი შენიშვნა 30 - რისკების მართვა).

## 10 მოგების გადასახადი

კორპორაციული მოგების გადასახადის სარგებელი მოიცავს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| მიმდინარე გადასახადი | 27 | – |
| გადავადებული საგადასახადო კრედიტი – დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება | (110) | (99) |
| **მოგების გადასახადის ხარჯი (სარგებელი)** | **(83)** | **(99)** |

## 10 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

ამჟამად საქართველოში მოქმედებს სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების მიერ დაწესებული მთელი რიგი კანონებისა სხვადასხვა გადასახადებთან დაკავშირებით. შესაბამისი გადასახადები მოიცავს, სხვათა შორის, დამატებული ღირებულების გადასახადს, კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს (მოგების გადასახადი) და ბრუნვაზე დაფუძნებულ გადასახადს. კანონები, რომელიც ეხება ამ გადასახადების არ მოქმედებდა მნიშვნელოვანი პერიოდების განმავლობაში, სხვა განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებისგან განსხვავებით.

აქედან გამომდინარე, წესები ხშირად გაურკვეველია ან არ არსებობს და არის სულ რამდენიმე პრეცედენტი. ამის გამო საგადასახადო რისკები საქართველოში არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტიპურად არის ქვეყნებში, სადაც საგადასახადო სისტემები უფრო განვითარებულია.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ კომპანია, არსებითად, შესაბამისობაშია საგადასახადო კანონმდებლობასთან, რომელიც გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე. თუმცა, რისკი რჩება, რომ შესაბამის ორგანოებს შეიძლება განსხვავებული პოზიცია ჰქონდეთ სადავო საკითხებთან დაკავშირებით.

კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე გაგრძელდება ქართული პოლიტიკური მოვლენების გავლენა, მათ შორის არსებული და მომავალი კანონმდებლობის და საგადასახადო რეგულაციების გამოყენება და ინტერპრეტაცია. ასეთმა შესაძლო შემთხვევებმა და მათმა გავლენამ კომპანიაზე შეიძლება არსებითი ზემოქმედება მოახდინოს კომპანიის ოპერაციებზე ან მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოში.

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივი | 815 | 815 |
| მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივი | 2,023 | 1,913 |
| **სულ საგადასახადო აქტივები** | **2,838** | **2,728** |

## 11 ინვესტიციები უძრავ ქონებაში

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| **1 იანვარს** | 2,579 | **2,556** |
| დამატებები | – | - |
| სამართლიანი ღირებულების მოგება / (ზარალი) | – | 23 |
| გაყიდვები | (1,166) | – |
| **31 დეკემბერს** | **1,413** | **2,579** |

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანის ინვესტიციები უძრავ ქონებაში მოიცავს მიწას მცხეთის რაიონში. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეს ქონება არ ყოფილა გამოყენებული მომსახურების მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და არ ყოფილა გასაყიდი საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას და, შესაბამისად, არ არის კლასიფიცირებული, როგორც მფლობელის მიერ დაკავებული საკუთრება. ეს აქტივები გადადებული იყო განუსაზღვრელი მომავალისთვის და, ამრიგად, კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ქონება ბასს 40 შესაბამისად.

## 11 ინვესტიციები უძრავ ქონებაში (გაგრძელება)

გაყიდული საინვესტიციო ქონება, ნაჩვენები ზემოთ, წარმოადგენს საკუთრებას ბოლნისის რაიონში.

ჯგუფის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა შპს „ექსპერტთა ჯგუფის“ დამოუკიდებელ პროფესიონალ შემფასებელთა შეფასების ანგარიშის საფუძველზე. შემფასებლებს აქვთ ყველა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და უახლესი გამოცდილება შესაფასებელი საინვესტიციო ქონების ადგილმდებარეობის და კატეგორიის თვალსაზრისით. შეფასება განხორციელდა შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ ყოფილა არსებითი ცვლილებები საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში.

## 12 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა მოყვანილია ქვემოთ:

| | მიწა და შენობები | ავტომობილები | სამედიცინო აღჭურვილ... | ავეჯი და აღჭურვილობა | იჯარით აღებული უძრავი ქონების გაუმჯობესება | დაუსრულებელი მშენებლობა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მთლიანი საბალანსო ღირებულება** | | | | | | | |
| *1-იან-14* | **8,500** | **317** | **3,900** | **1,490** | **1,271** | **3** | **15,481** |
| დამატებები | - | 29 | 27 | 45 | 21 | - | 122 |
| შიდა გადატანები | - | - | - | - | - | - | - |
| განკარგვა | (5,193) | (6) | (988) | (454) | - | - | **(6,641)** |
| **31-დეკ-14** | **3,307** | **340** | **2,939** | **1,081** | **1,292** | 3 | **8,962** |
| **დაგროვილი ცვეთა** | | | | | | | |
| **1-იან-14** | **857** | **182** | **1,349** | **1,037** | **667** | - | **4,092** |
| ცვეთის ხარჯები | 337 | 56 | 498 | 304 | 165 | - | **1,360** |
| განკარგვა | (709) | (4) | (240) | (273) | - | - | **(1,226)** |
| **31-დეკ-14** | **485** | **234** | **1,607** | **1,068** | **832** | - | **4,226** |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | | | | | |
| **1-იან-14** | **7,643** | **135** | **2,551** | **453** | **604** | **3** | **11,389** |
| **31-დეკ-14** | **2,822** | **106** | **1,332** | **13** | **460** | **3** | **4,736** |

## 12 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

| | მიწა და შენობები | ავტომობილები | სამედიცინო აღჭურვილობა | ავეჯი და აღჭურვილობა | იჯარით აღებული უძრავი ქონების გაუმჯობესება | დაუსრულებელი მშენებლობა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მთლიანი საბალანსო ღირებულება** | | | | | | | |
| **1-იან-13** | **10,087** | **286** | **3,810** | **1,653** | **1,206** | **-** | **17,042** |
| დამატებები | 341 | 36 | 153 | 136 | 65 | 35 | **766** |
| შიდა გადარიცხვები | 32 | - | (8) | 8 | - | (32) | - |
| განკარგვა | (1,960) | (5) | (55) | (307) | - | - | **(2,327)** |
| **31-დეკ-13** | **8,500** | **317** | **3,900** | **1,490** | **1,271** | **3** | **15,481** |
| **დაგროვილი ცვეთა** | | | | | | | |
| **1-იან-13** | **572** | **128** | **798** | **804** | **481** | **-** | **2,783** |
| ცვეთის ხარჯები | 428 | 59 | 599 | 380 | 186 | - | **1,652** |
| განკარგვა | (143) | (5) | (48) | (147) | - | - | **(343)** |
| **31-დეკ-13** | **857** | **182** | **1,349** | **1,037** | **667** | **-** | **4,092** |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | | | | | |
| **1-იან-13** | **9,515** | **158** | **3,012** | **849** | **725** | **-** | **14,259** |
| **31-დეკ-13** | **7,643** | **135** | **2,551** | **453** | **604** | **3** | **11,389** |

ქონების განკარგვა მოიცავს მიწის და შენობების წმინდა საბალანსო ღირებულებას 4,467, ლარს, სამედიცინო აღჭურვილობის – 643 ლარს და ავეჯის და აღჭურვილობის – 176 ლარს ხაშურის, ონის, მესტიის და ცაგერის რაიონული საავადმყოფოების გაყიდვასთან დაკავშირებით.

ქონება საბალანსო ღირებულებით 2,602 ლარი დაგირავებულია ფინანსური ვალდებულებების უარუნველსაყოფად (შენიშვნა 16).

## 13 გადავადებული საკომისიო ხარჯები

გადავადებული საკომისიო ხარჯები 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| **1 იანვრის მდგომარეობით** | **287** | **360** |
| გაწეული | 1.043 | 658 |
| ამორტიზებული | (806) | (731) |
| **31 დეკემბრის მდგომარეობით** | **524** | **287** |

## 14 სხვა აქტივები

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| დებიტორული დავალიანება რეგრესული ზარალებიდან | 2,222 | 1,925 |
| ავანსები და წინასწარი გადახდები | 3,205 | 1,679 |
| წინასწარ გადახდილი საოპერაციო გადასახადები | 1,231 | 1,221 |
| დებიტორული დავალიანება | 189 | 315 |
| ინვენტარი | 553 | 659 |
| დაგირავებული აქტივები გამოსყიდვის უფლების გარეშე | – | – |
| დებიტორული დავალიანება ინვესტიციების გაყიდვიდან | 825 | 882 |
| სხვა | 1,718 | 1,497 |
| | **9,943** | **8,178** |
| გამოკლებული – სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი (შენიშვნა 29) | (3,381) | (3,088) |
| **სულ** | **6,562** | **5,090** |

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ავანსები და წინასწარი გადახდები შეადგენს 229 ლარს (2013: 354 ლარი) კლინიკებისთვის გადახდილი ავანსების სახით.

კომპანიის წინასწარ გადახდილი საოპერაციო გადასახადები მოიცავს გადახდილ დღგ 1,187 ლარი (2013: 1,188 ლარი), რომელიც მიეკუთვნება შპს „ალიანსი მედი +", 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ინვენტარი ეხება სამედიცინო მარაგებს 2012 და 2013 წლის განმავლობაში დაარსებულ საავადმყოფოებში.

## 15 სხვა სადაზღვევო ვალდებულებები

სხვა სადაზღვევო ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| გადაზღვევის კრედიტორული დავალიანება | 3,633 | 1,934 |
| გადასახდელი პრეტენზიები | 2,906 | 4,866 |
| **სულ** | **6,539** | **6,800** |

## 16 ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

| | 2014 | 2014 |
|---|---|---|
| საბანკო სესხები | 8,333 | 14,359 |
| საბანკო ოვერდრაფტები | 989 | 99 |
| სხვა კრედიტორული დავალიანება | 316 | 278 |
| **სულ** | **9,638** | **14,736** |

## 16 ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

საბანკო სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთია 11.98% წელიწადში (2013: 13.48%), დაფარვის ვადით 2015 წლის მარტი – 2015 წლის ნოემბერი (2013: 2014 წლის იანვარი – 2014 წლის ნოემბერი).

საბანკო სესხებში შედის სს ვითიბი ბანკისგან – 1,955 ლარი (2013: 3,557 ლარი), სს თიბისი ბანკისგან – 1,814 ლარი (2013: 4,433 ლარი), სს კორსტანდარტ ბანკისგან 2,623 ლარი (2013: 2,611 ლარი), სს ჰალიკ ბანკი საქართველოსგან - 120 ლარი (2013: 155) და სს პრივატ ბანკისგან 1,818 ლარი (2013: GEL 1,678) მიღებული თანხები. საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით, რომელთა საბალანსო ღირებულებაა 2,602 ლარი (2013: 9,926 ლარი) (შენიშვნა 12) და კომპანიის თანხებით, რომლებიც მისაღებია საკრედიტო ინსტიტუტებიდან 1,677 ლარი (შენიშვნა 6). აგრეთვე, საბანკო სესხები უზრუნველყოფილია აი სი ჯგუფის 100% წილით შპს „ალიანსმედი+“ და სხვა მხარის ქონებით ღირებულებით 1,100 ლარი

## 17 კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| მშენებლობის კრედიტორული დავალიანებები | – | – |
| სამედიცინო მომსახურების კრედიტორული დავალიანებები | 160 | 314 |
| სხვა კრედიტორული დავალიანება | 320 | 1,489 |
| **სულ** | **480** | **1,803** |

## 18 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| თანამშრომლების კომპენსაციების დარიცხვები | 643 | 757 |
| გადასახდელი საოპერაციო გადასახადები | 2,022 | 2,024 |
| მიღებული ავანსები | 961 | 647 |
| სხვა | 1,049 | 2,245 |
| **სულ** | **4,675** | **5,673** |

## 19 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი შემოტანილია აქციონერების მიერ ქართულ ლარში და აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ დივიდენდები და კაპიტალის ნებისმიერი განაწილება ლარში. დივიდენდები არ ყოფილა გამოცხადებული 2014 და 2013 წლის განმავლობაში.

კაპიტალის მიმართ ნორმატიული მოთხოვნები საქართველოში დადგენილია დაზღვევის მარეგულირებელი ორგანოს მიერ და გამოიყენება კომპანიის მიმართ მხოლოდ ავტონომიურ საფუძველზე. მარეგულირებლის მოთხოვნაა მინიმალური კაპიტალის – 1,500 ლარის შენარჩუნება, რომლის 80% უნდა ინახებოდეს, როგორც საკრედიტო დაწესებულებებიდან მისაღები თანხები. შპს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი“ აკმაყოფილებს კაპიტალის მიმართ ნორმატიულ მოთხოვნებს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

## 20 ვალდებულებები და პირობითი ხარჯები

### a) იურიდიული

ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ ქმედებებსა და საჩივრებს. 2013 წელს შპს „ადითმა“ დაიწყო სამართლებრივი პროცესი კომპანიის წინააღმდეგ, სარჩელი, დაახლოებით, 10 მილიონი ლარის ოდენობის მიუღებელი შემოსავლების შესახებ. შპს „ადითი“ აცხადებს, რომ მათ ვერ გამოიმუშავეს 10 მილიონი ლარის ოდენობის ეს შემოსავალი იმის გამო, რომ კომპანიამ არ გადაიხადა „ადითის“ მოთხოვნა. 2014 წლის დეკემბერში „ადითმა“ შეამცირა მოთხოვნილი თანხა 7.4 მილიონამდე. ამ საქმის საბოლოო შედეგის დარწმუნებით წინასწარმეტყველება შეუძლებელია, მაგრამ ხელმძღვანელობამ განიხილა ეს საკითხი კომპანიის იურისტებთან და მიაჩნია, რომ ამ სასამართლო საქმეს არ ექნება შედეგი რაიმე მატერიალური ვალდებულებების კომპანიისთვის დარიცხვის სახით და, ამრიგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ყოფილა აღიარებული რეზერვები ამ იურიდიული სარჩელისთვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც გამომდინარეობს რაიმე სხვა ქმედებებიდან ან საჩივრებიდან, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა ან სამომავლო ოპერაციების შედეგებზე.

### b) დაბეგრვა

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებსაც შეიძლება ხშირად ჰქონდეს ადგილი. ხელმძღვანელობის მიერ აღნიშნული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია კომპანიის საქმიანობასთან და მის მიერ განხორციელებულ ტრანზაქციებთან მიმართებაში, შესაძლოა სადავო გახდეს მოქმედი რეგიონული და ფედერალური ორგანოების მხრიდან. საქართველოში ცოტა ხნის წინ განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ გამკაცრებული პოზიციის დაკავება კანონმდებლობის ინტერპრეტაციისა და საგადასახადო შემოწმებების თვალსაზრისით და აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ ის საქმიანობები და ტრანზაქციები, რომლებიც არ ყოფილა სადავო წარსულში, ამჟამად სადავო გახდეს. ასეთი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი. არ არის მიზანშეწონილი, აღნიშნული განუცხადებელი ზარალების ოდენობის განსაზღვრა, ვინაიდან ამან შეიძლება გამოავლინოს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არაკეთილსაიმედო შედეგი ან მისი ალბათობა. საგადასახდო პერიოდები ღიაა შესაბამისი ორგანოების მიერ შემოწმების ჩატარებისთვის გადასახადების გადახდის თვალსაზრისით შემოწმების წლის წინა სამი კალენდარული წლისთვის. გარკვეულ სიტუაციაში, შემოწმებამ შესაძლოა მოიცვას უფრო ხანგრძლივი პერიოდებიც. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სწორია და, სავრაუდოდ, კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციები აღიარებული იქნება.

### c) ფინანსური ვალდებულებები და პირობითი ხარჯები

31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი ხარჯები მოიცავს შემდეგს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| იჯარის საოპერაციო ვალდებულებები: | | |
| არა უგვიანეს 1 წლისა | 454 | 707 |
| 1 წლიდან, მაგრამ არა უგვიანეს 5 წლისა | 847 | 2,027 |
| ვალდებულებები კაპიტალურ ხარჯებზე | 301 | 301 |
| **ფინანსური ვალდებულებები და პირობითი ხარჯები** | **1,603** | **3,035** |

## 21 წმინდა სადაზღვევო შემოსავალი

წმინდა სადაზღვევო შემოსავალი მოიცავს:

| | შენიშვნა | 2014 | 2013 |
|---|---|---|---|

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
*თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არაა დადგენილი*

| | | | |
|---|---|---|---|
| მოზიდული პრემია სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებზე | 9 | 277 | *112* |
| მოზიდული პრემია ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებზე, პირდაპირი | 9 | 11,311 | *42,558* |
| **სულ მოზიდული პრემია** | | **11,588** | **42,670** |
| მთლიანი ცვლილება სიცოცხლის დაზღვევის რეზერვში | 9 | 9 | 28 |
| მთლიანი ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში | 9 | 12,011 | 3,465 |
| **სულ მთლიანი გამომუშავებული პრემიები დაზღვევის ხელშეკრულებებზე** | | **23,608** | **46,163** |
| გადამზღვეველის წილი სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებზე პრემიის შემოსავალში | | (5) | (30) |
| გადამზღვეველის წილი ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებზე, პრემიის შემოსავალში, პირდაპირი | 9 | (6,625) | (3,160) |
| გადამზღვეველის წილი ცვლილებაში სიცოცხლის დაზღვევის რეზერვში | | (2) | 4 |
| გადამზღვეველის წილი ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულების გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში | 9 | 2,928 | (2,347) |
| **სულ გადამზღვეველის წილი მთლიან გამომუშავებულ პრემიებში დაზღვევის ხელშეკრულებებზე** | | **(3,704)** | **(5,533)** |
| **წმინდა სადაზღვევო შემოსავალი** | | **19,904** | **40,630** |

## 22 საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი და საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივებიდან შეადგენს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| **საპროცენტო შემოსავალი** | | |
| საკრედიტო დაწესებულებებიდან მისაღები თანხები | 393 | 971 |
| გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება | 1,016 | 591 |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები | 9 | 8 |
| **სულ საპროცენტო შემოსავალი** | **1,418** | **1,570** |
| **საპროცენტო ხარჯი** | | |
| საბანკო სესხები და ოვერდრაფტები | (1,483) | (2,035) |
| **წმინდა საპროცენტო (ხარჯი) / შემოსავალი** | **(65)** | **(465)** |

## 23 შემოსავალი გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან

შემოსავალი გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან შეადგენს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| შემოსავალი სამთავრობო პროგრამებიდან | 6,320 | 3,507 |
| შემოსავალი თავისუფალი ნაკადიდან (დაუზღვეველი ინდივიდუალური პირების საცალო მომსახურება) | 625 | 1,079 |
| შემოსავალი სადაზღვევო კომპანიებიდან | 385 | 243 |
| სხვა შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან | 3 | 599 |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
*თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არაა დადგენილი*

| | | |
|---|---|---|
| **სულ** | **7,333** | **5,428** |

## 24 სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი მოიცავს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| **სხვა საოპერაციო შემოსავალი** | | |
| სამედიცინო ინვენტარი უსასყიდლოდ | 109 | 206 |
| ძირითადი საშუალებების გადაფასება | - | – |
| სხვა ინვესტიციების გაყიდვა | - | 847 |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა | 250 | 195 |
| სხვა | 319 | 1,140 |
| **სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი** | **678** | **2,388** |
| **სხვა საოპერაციო ხარჯი** | | |
| დაკისრებული ჯარიმები | 47 | 154 |
| დისკონტირების ხარჯი | 757 | – |
| გაყიდული ინვესტიციების ღირებულება | - | 750 |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვის ღირებულება | 56 | 98 |
| სხვა | (211) | 641 |
| **სხვა საოპერაციო ხარჯები** | **649** | **1,643** |
| **სხვა საოპერაციო შემოსავალი გამოკლებული სხვა საოპერაციო ხარჯები** | **29** | **745** |

## 25 წმინდა დამდგარი სადაზღვევო ზარალები

წმინდა დამდგარი სადაზღვევო ზარალები მოიცავს:

| | შენიშვნა | 2012 | 2013 |
|---|---|---|---|
| სიცოცხლის დაზღვევის ზარალების გადახდა | 9 | (24) | (25) |
| ზოგადი დაზღვევის ზარალების გადახდა, პირდაპირი | 9 | (14,511) | (33,507) |
| **სულ დაზღვევის ზარალების გადახდა** | | **(14,535)** | **(33,532)** |
| გადამზღვეველების წილი სიცოცხლის დაზღვევის ზარალების გადახდაში | | 5 | 4 |
| გადამზღვეველის წილი ზოგადი ზარალების გადახდაში | 9 | 2,640 | 9,137 |
| მთლიანი ცვლილება სულ სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებებში | 9 | 2,025 | 12,110 |
| გადამზღვეველების წილი სულ სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებების ცვლილებაში | 9 | (1,193) | (7,547) |
| **წმინდა გაწეული სადაზღვევო ზარალები** | | **(11,058)** | **(19,828)** |

## 26 ხარჯი უზრუნველყოფილ სამედიცინო მომსახურებაზე

ხარჯი უზრუნველყოფილ სამედიცინო მომსახურებაზე მოიცავს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| ხელფასის პირდაპირი ხარჯები | (2,589) | (3,268) |
| ხარჯები სამედიცინო მომსახურების პროვაიდერებზე | (2,625) | (3,934) |
| სხვა არაპირდაპირი ხარჯები | (828) | (2,975) |
| პირდაპირი მასალები | (832) | (1,116) |
| **სულ** | **(6,874)** | **(11,293)** |

## 27 ხელფასები და სხვა შეღავათები თანამშრომელთათვის

ხელფასები და სხვა შეღავათები თანამშრომელთათვის მოიცავს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| ხელფასები | (4,220) | (4,654) |
| ბონუსები | (165) | (171) |
| დაზღვევა და სხვა შეღავათები | **(98)** | **(68)** |
| **სულ** | **(4,483)** | **(4,893)** |

## 28 ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| განთავსება და იჯარა | (712) | (773) |
| საოპერაციო გადასახადები | (62) | - |
| კომუნიკაციები | (101) | (153) |
| იურიდიული და საკონსულტაციო | (145) | (132) |
| ტრანსპორტირება | (88) | (59) |
| კომუნალური მომსახურება | (99) | (96) |
| უსაფრთხოება | (21) | (36) |
| მარკეტინგი და რეკლამა | (77) | (134) |
| ბანკის მომსახურების საფასური და კომისიები | (37) | (39) |
| მივლინების და მასთან დაკავშირებული ხარჯები | (72) | (36) |
| ბეჭდვა | (32) | (26) |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | (54) | (37) |
| საოფისე მომარაგების საგნები | (59) | (81) |
| ძირითადი საშუალებების რემონტი და ტექმომსახურება | (39) | (18) |
| ქველმოქმედება | (9) | (14) |
| სხვა | (202) | (292) |

| | | |
|---|---|---|
| **სულ** | (1,809) | **(1,926)** |

## 29 გაუფასურების რეზერვები და სხვა რეზერვები

სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული დავალიანების, სესხებზე დებიტორული დავალიანების და სხვა აქტივებიდან დებიტორული დავალიანების რეზერვის მოძრაობა:

| | სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 7) | სესხები და დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 8) | სხვა აქტივები (შენიშვნა 14) | სულ |
|---|---|---|---|---|
| **31-დეკ-12** | **2,723** | **208** | **1,973** | **4,904** |
| დაკისრება | 333 | 5,279 | 1,131 | **6,743** |
| ჩამოწერა | - | - | (16) | **(16)** |
| **31-დეკ-13** | **3,056** | **5,487** | **3,088** | **11,631** |
| დაკისრება | 412 | 1,133 | 293 | **1,838** |
| შეცვლა | – | 21 | – | **21** |
| ჩამოწერა | (73) | - | - | **(73)** |
| **31-დეკ-14** | **3,395** | **6,641** | **3,381** | **13,417** |

აქტივების გაუფასურების რეზერვები ჩამოიჭრება შესაბამისი აქტივების საბალანსო ღირებულებიდან.

## 30 რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვაგვარ რისკებთან. ამიტომ რისკების მართვა წარმოადგენს მისი სადაზღვევო საქმიანობის ერთ–ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. რისკი წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რისკის მუდმივი განსაზღვრის, შეფასების და ყოველდღიური მონიტორინგის პროცესის მეშვეობით რიკების ლიმიტის და სხვა კონტროლის გათვალისწინებით. კომპანიაში მომუშავე ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია იმ რისკებზე, რომლებსაც მოიცავს მისი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკები უკავშირდება კრედიტებს, ლიკვიდობას, საპროცენტო განაკვეთების და სავალუტო კურსების საბაზრო მოძრაობას და აქციათა ღირებულებას. ქვემოთ მოცემულია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა ამ რისკებთან მიმართებაში.

### მართვის სტრუქტურა

კომპანიის რისკების და ფინანსური მართვის სტრუქტურის ძირითადი მიზანია კომპანიის დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც ხელს უშლის მის მიერ დასახული მიზნების მდგარად მიღწევას, მათ შორის მოიაზრება შესაძლებლობების გამოუყენებლობა. კომპანია აღიარებს რისკების მართვის ქმედითი და ეფექტური სისტემის არსებობის კრიტიკულ მნიშვნელობას.

კომპანიამ შექმნა რისკების მართვის ფუნქცია დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო ახორციელებს ხელმძღვანელობის შესაბამისი წევრების მიმართ რისკების მართვის დადგენილი პოლიტიკის აღსრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობის დელეგირებას.

დირექტორთა საბჭო ამტკიცებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკას და ატარებს რეგულარულ

## 30 რისკის მართვა (გაგრძელება)

### მართვის სტრუქტურა (გაგრძელება)

შეხვედრებს ასეთი პოლიტიკის ნებისმიერი კომერციული, მარეგულირებელი და საკუთარი ორგანიზაციული მოთხოვნების დასამტკიცებლად. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის მიერ რისკის იდენტიფიკაციას და მის ინტერპრეტაციას, ლიმიტის სტრუქტურას, რათა უზრუნველყოს აქტივების შესაბამისი ხარისხი და დივერსიფიკაცია, სადაზღვევო და გადაზღვევის სტრატეგიის შესაბამისობა კორპორაციულ მიზნებთან და მიუთითებს ანგარიშგების მოთხოვნებს.

### კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომა

კომპანიამ ჩამოაყალიბა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და რისკების მართვის მიმართ მიდგომა, რომლებიც გავლენას ახდენს მისი კაპიტალის პოზიციაზე.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით დაზღვეულებისთვის უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფა.

- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა იმის უზრუნველყოფით, რომ შემოსავალი გამოყენებული კაპიტალიდან აკმაყოფილებს მისი ინვესტორების და მისი აქციონერების მოთხოვნებს.

- ფინანსური მოქნილობის შენარჩუნება ძლიერი ლიკვიდურობის და ფინანსური ინსტიტუტებიდან ხელმისაწვდომი სახსრების წვდომის მეშვეობით.

- ფინანსური ძალის შენარჩუნება, ახალი ბიზნესის ზრდის ხელშეწყობა და დაზღვეულების, მარეგულირებლების და აქციონერების საჭიროებების დაკმაყოფილება.

კომპანიის ოპერაციები ასევე ექვემდებარება ადგილობრივ მარეგულირებელ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, სადაც ის საქმიანობას ახორციელებს. ასეთი რეგულაციები არა მხოლოდ განსაზღვრავს საქმიანობის დამტკიცებისა და მონიტორინგის საჭიროებას, არამედ ასევე აწესებს გარკვეული შემზღუდველ დებულებებს, მაგალითად კაპიტალის ადეკვატურობა – სადაზღვევო კომპანიების მხრიდან დეფოლტის და გაკოტრების რისკის შესამცირებლად, რათა შემლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შესრულება მათი წარმოშობისას.

კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მისი სადაზღვევო და არასადაზღვევო ბიზნესისთვის არის საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობა ნორმატიული მოთხოვნების დასაფარად მარეგულირებელი მითითებების საფუძველზე.

### მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ

კომპანია ცდილობს სტრუქტურისა და კაპიტალის წყაროების ოპტიმიზაციას იმისთვის, რომ უზრუნველყოს შემოსავლების თანმიმდევრული ზრდა აქციონერებისა და დაზღვეულებისთვის.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ მოიცავს აქტივების, ვალდებულებების და რისკების კოორდინირებულად მართვას, კაპიტალის მოხსენებულ და საჭირო დონეებს შორის განსხვავების რეგულარულ შეფასებას და სათანადო ქმედებებს კომპანიის კაპიტალის პოზიციაზე ზემოქმედებისთვის.

გასულ წელს, წინა წლებთან შედარებით კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან ცვლილებებს მის პოლიტიკასა და პროცესებში კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებით.

## 30 რისკის მართვა (გაგრძელება)

### სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის რისკი, რომ დადგება სადაზღვევო შემთხვევა, რაიმე გამომდინარე პრეტენზიის გაურკვეველი ოდენობის და ვადის ჩათვლით. ძირითადი რისკი, რომელიც დგას კომპანიის წინაშე ასეთი ხელშეკრულებების პირობებში არის ის, რომ ფაქტობრივი პრეტენზიები და სარგებლის გადასახადები აღემატება სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ოდენობას. ამაზე გავლენას ახდენს პრეტენზიების სიხშირე, პრეტენზიების სიმძიმე, ფაქტობრივად გადახდილი ანაზღაურება მეტია თავდაპირველად შეფასებულზე და შემდგომ გრძელვადიანი პრეტენზიების განვითარება.

რისკების ცვალებადობის გაუმჯობესება ხდება ზარალის რისკის დივერსიფიკაციით სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე, ვინაიდან, რაც უფრო მეტად დივერსიფიცირებულია პორტფელი, მით ნაკლებად სავარაუდოა საერთო ზეგავლენა პორტფელის რაიმე ნაწილის ცვლილების გამო, ასევე, მოულოდნელი შედეგები. რისკების ცვალებადობის გაუმჯობესება ასევე ხდება სადაზღვევო სტრატეგიისა და ხელმძღვანელი მითითებების ფრთხილად შერჩევითა და განხორციელებით, აგრეთვე გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით. კომპანია ადგენს სადაზღვევო ხელმძღვანელ მითითებებსა და ლიმიტებს, რომლებიც განსაზღვრავს, ვინ რა რისკი შეიძლება მიიღოს და გამოსაყენელ ლიმიტებს. ხორციელდება ამ ლიმიტების მუდმივი მონიტორინგი.

კომპანია, მისი სადაზღვევო რისკის მონიტორინგისთვის, პირველ რიგში, იყენებს ზარალის კოეფიციენტს და კომბინირებულ კოეფიციენტს. ზარალის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც წმინდა სადაზღვევო პრეტენზიების შეფარდება წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან. კომბინირებული კოეფიციენტი არის ზარალის კოეფიციენტის და ხარჯების კოეფიციენტის ჯამი. ხარჯების კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც საოპერაციო ხარჯებს გამოკლებული საპროცენტო ხარჯი, გაყოფილი წმინდა სადაზღვევო შემოსავალზე. კომპანიის ზარალის კოეფიციენტები და კომბინირებული კოეფიციენტები, გამოთვლილი წმინდა საფუძველზე იყო შემდეგი:

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| ზარალის კოეფიციენტი | 56% | 49% |
| კომბინირებული კოეფიციენტი | 93% | 67% |

კომპანიის საქმიანობა მოიცავს როგორც სიცოცხლის ისე ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებს.

### (1) სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები

კომპანია აფორმებს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებს, სადაც ხდება დაზღვეულის სიკვდილისგან ან მუდმივი უუნარობისგან დაზღვევა, ჩვეულებრივ, წინასწარ განსაზღვრული ოდენობის თანხით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი განსაზღვრავს სიცოცხლის დაზღვევის სარგებლის კონცენტრაციას 4 დიაპაზონში (დიაპაზონების ლიმიტები მოცემულია ათას ლარში).

| | მთლიანი ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირებით | გადამზღვეველის წილი მთლიან ვალდებულებებში ზარალებთან დაკავშირებით | მთლიანი ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირებით |
|---|---|---|---|

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
*თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არაა დადგენილი*

| | | | |
|---|---|---|---|
| **ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირებით დაზღვეულ სიცოცხლეზე 31/12/2014 მდგომარეობით** | | | |
| 0-100 ათასი ლარი | 104 | - | **104** |
| 100-200 ათასი | - | - | - |
| 200-1000 ათასი | - | - | - |
| 1,000 ათასზე მეტი | - | - | - |
| **სულ** | **104** | **-** | **104** |
| **ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირებით დაზღვეულ სიცოცხლეზე 31/12/2013 მდგომარეობით** | | | |
| 0-100 ათასი ლარი | 31 | - | **31** |
| 100-200 ათასი | - | - | - |
| 200-1000 ათასი | - | - | - |
| 1,000 ათასზე მეტი | - | - | - |
| **სულ** | **31** | **-** | **31** |

კომპანიის სადაზღვევო სტრატეგია შემუშავებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ რისკები კარგად იყოს დივერსიფიცირებული რისკის ტიპის და დაზღვეული სარგებლის დონის თვალსაზრისით. ეს დიდწილად მიიღწევა სამრეწველო დარგების მიხედვით და გეოგრაფიული დივერსიფიკაციის მეშვეობით, სამედიცინო სკრინინგის გამოყენების მეშვეობით იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფასები ითვალისწინებდეს ჯანმრთელობის მიმდინარე მდგომარეობას და საოჯახო სამედიცინო ისტორიას, ფაქტობრივი ზარალების და პროდუქტის ფასის რეგულარული გადახედვის, ასევე ზარალების დარეგულირების დეტალური პროცედურების მეშვეობით. არსებობს სადაზღვევო ლიმიტები, რისკის შერჩევის შესაბამისი კრიტერიუმების შესასრულებლად. მაგალითად, კომპანიას უფლება აქვს არ განაახლოს ინდივიდუალური პოლისები, მას შეუძლია დააწესოს ფრანშიზები და აქვს უფლება, უარი თქვას თაღლითური ზარალების გადახდაზე. დაზღვევის ხელშეკრულებები ასევე უფლებას აძლევს კომპანიას გადაახდევინოს მესამე მხარეებს რაიმე ან ყველა ხარჯი. კომპანია აგრძელებს პრეტენზიების აქტიური დამუშავების და დაუყოვნებლივ გატარების პოლიტიკას, რათა შეამციროს მომავალში არაპროგნოზირებადი მოვლენების ზემოქმედება, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიაზე.

ამჟამად, დაზღვეული რისკები არ არის მნიშვნელოვნად განსხვავებული კომპანიის მიერ დაზღვეული რისკის მდებარეობასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც არასათანადო კონცენტრაციას ოდენობების მიხედვით შეიძლება ჰქონდეს ზეგავლენა კონპენსაციების გადახდის სიმძიმეზე პორტფელების მიხედვით. კონტრაქტებისთვის, სადაც დაზღვეული რისკია გარდაცვალება ან უუნარობა, მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გაიზარდოს ზარალების საერთო სიხშირე, არის ეპიდემია, ცხოვრების წესის ფართოდ გავრცელებული ცვლილებები და ბუნებრივი კატასტროფები, რის შედეგადაც მიიღება უფრო ადრე ან მეტი ზარალები, ვიდრე მოსალოდნელი იყო. კომპანია არ ახორციელებს სიცოცხლის დაზღვევის პორტფელის გადაზღვევას, კომპანიის ყველა მაღალი რისკის ინდივიდუალური დაზღვევის თავიდან აცილების გამო.

კომპანიის სადაზღვევო ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2013 წელს მოცემულია ქვემოთ. განაწილება ეფუძნება ქვეყნებს, სადაც ხორციელდება სადაზღვევო ბიზნესი. უშუალო სადაზღვევო ბიზნესის განხორციელების ადგილი საქართველოა.

| | მთლიანი ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირებით | გადამზღვეველის წილი მთლიან ვალდებულებებში ზარალებთან დაკავშირებით | წმინდა ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირებით |
|---|---|---|---|

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
*თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არაა დადგენილი*

| | | | |
|---|---|---|---|
| **ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირებით დაზღვეულ სიცოცხლეზე 31/12/2014 მდგომარეობით** | | | |
| საქართველო | 104 | - | **104** |
| **სულ** | **104** | - | **104** |
| **ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირებით დაზღვეულ სიცოცხლეზე 31/12/2013 მდგომარეობით** | | | |
| საქართველო | 31 | - | **31** |
| **სულ** | **31** | - | **31** |

### (2) ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები

კომპანია ძირითადად აფორმებს შემდეგი სახის ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებს: მესამე მხარის კუთვნილი ავტომობილის დაზიანება, ქონების, ფინანსური რისკების, ჯანმრთელობის, გარანტიების, ტვირთის, ექსპედიტორის პასუხისმგებლობის, მესამე პირის ზოგადი პასუხისმგებლობის, საავტომობილო მესამე მხარის პასუხისმგებლობის, პროფესიული პასუხისმგებლობის, საზღვაო ხომალდის კორპუსის, თვითმფრინავის კორპუსის, საავიაციო TPL. არა-სიცოცხლის სადაზღვევო პოლისის რისკები, როგორც წესი, მოიცავს თორმეტთვიან პერიოდს.

ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიქმნება ზარალის სიხშირის და ზარალის სიმძიმის ცვლილებებიდან. ჯანდაცვის ხელშეკრულებებისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიქმნება ცხოვრების წესის ცვლილებებიდან და ეპიდემიებიდან.

ეს რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება დაზღვეული რისკის ტიპის და ინდუსტრიის მიხედვით. არასათანადო კონცენტრაციას ოდენობების მიხედვით შეიძლება ჰქონდეს შემდგომი ზეგავლენა კონპენსაციების გადახდის სიმძიმეზე პორტფელების მიხედვით.

აღნიშნული რისკების ზემოქმედების შემცირება ხდება დივერსიფიკაციით დაზღვევის ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე. რისკების ცვალებადობის გაუმჯობესება ხდება სადაზღვევო სტრატეგიების ფრთხილად შერჩევითა და განხორციელებით, რომლებიც შემუშავებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ რისკები დივერსიფიცირებულია რისკის ტიპის და დაზღვეული კომპენსაციის დონის მიხედვით. ეს დიდწილად მიიღწევა მრეწველობის სექტორების მიხედვით დივერსიფიკაციის მეშვეობით. გარდა ამისა, პრეტენზიების მკაცრი განხილვის პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე პრეტენზიების შესაფასებლად, ზარალების მართვის პროცედურების რეგულარული, დეტალური გადახედვა და შესაძლო თაღლითური პრეტენზიების ხშირი გამოძიება - ესაა პოლიტიკა და პროცედურები კომპანიის მიერ რისკის შესამცირებლად. კომპანია აგრძელებს პრეტენზიების აქტიური მართვის და მათზე სწრაფი რეაგირების პოლიტიკას, რათა შეამციროს არაპროგნოზირებადი მოვლენების განვითარების ზემოქმედება, რომლებიც შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიაზე.

კომპანიამ ასევე შეზღუდა შესაძლო რისკების მოცულობა გარკვეული ხელშეკრულებებზეზარალის მაქსიმალური თანხების დადებით, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით, კატასტროფული მოვლენებით, მაგალითად, ქარიშხლით, მიწისძვრით და წყალდიდობით გამოწვეული ზიანის ზემოქმედების შესაზღუდად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი განსაზღვრავს ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებების ვალდებულებების კონცენტრაციას ხელშეკრულების ტიპის მიხედვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
*თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არაა დადგენილი*

## 30 რისკის მართვა (გაგრძელება)

### სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

### ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

| | 2014 | | | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მთლიანი ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირებით | გადამზღვეველის წილი ვალდებულებებში ზარალებთან | წმინდა ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირები | მთლიანი ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირებით | გადამზღვეველის წილი ვალდებულებებში ზარალებთან დაკავშირებით | წმინდა ვალდებულებები ზარალებთა ნ |
| ავიაცია | 10,833 | 10,830 | 3 | 11,997 | 11,991 | 6 |
| ჯანდაცვა | 657 | - | 657 | 1,512 | - | 1,512 |
| ავტო | 289 | 13 | 276 | 454 | 1 | 453 |
| პასუხისმგებლობა | 239 | 222 | 17 | 250 | 231 | 18 |
| ქონება | 270 | 163 | 107 | 109 | 91 | 18 |
| ტვირთი | 24 | 8 | 16 | 134 | 114 | 20 |
| პერსონალური უბედური შემთხვევა | 62 | - | 62 | 37 | - | 37 |
| მოგზაურობა | 31 | - | 31 | 12 | - | 12 |
| ფინანსური რისკები | 6 | - | 6 | 3 | - | 3 |
| გარანტიები | - | - | - | 2 | - | 2 |
| **სულ** | **12,411** | **11,236** | **1,175** | **14,509** | **12,429** | **2,081** |

ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიქმნება ზარალის სიხშირის და ზარალის სიმძიმის ცვლილებებისგან საავტომობილო და ფინანსური რისკების დაზღვევაში და სამედიცინო მომსახურების ფასების ზრდისგან. ეს რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება კომპანიის მიერ დაზღვეული რისკის მდებარეობის და დაზღვეული რისკების ტიპის მიხედვით.

რისკების ცვალებადობის გაუმჯობესება ხდება დანაკარგის რისკის დივერსიფიკაციით სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე, რადგან რაც უფრო მეტად დივერსიფიცირებულია პორტფელი, მით ნაკლებად სავარაუდოა ნებისმიერ ქვე-პორტფელში რაიმე ცვლილებების ზემოქმედება მთლიანი მასშტაბით.

რისკების ცვალებადობის გაუმჯობესება აგრეთვე ხდება სადაზღვევო სტრატეგიების ფრთხილად შერჩევითა და განხორციელებით. კომპანია ადგენს სადაზღვევო ხელმძღვანელ მითითებებსა და ლიმიტებს, რომლებიც განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება მიიღოს რისკი, რისკების ბუნებასა და გამოსაყენელ ლიმიტებს. ხორციელდება ამ ლიმიტების მუდმივი მონიტორინგი. არსებობს პრეტენზიების მკაცრი განხილვის პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე პრეტენზიის შესაფასებლად ასევე შესაძლო თაღლითური პრეტენზიების გამოძიება. კომპანია ასევე ატარებს პრეტენზიების აქტიური მართვის და სწრაფი დამუშავების პოლიტიკას, რათა შეამციროს არაპროგნოზირებადი მოვლენების განვითარების ზემოქმედება, რომლებიც შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიაზე.

ბიზნესში გადაზღვევა ხდება სხვადასხვა პირობებით (კვოტების წილი, ჭარბი ზარალი) სადაც საკუტარ თავზე დატოვებული ლიმიტები მერყეობს პროდუქტის ხაზის და ტერიტორიის მიხედვით. გადამზღვეველებისგან მისაღები თანხები ფასდება პოლისის ძირითადი სარგებლის დამტკიცებისთვის გამოყენებული დაშვებების შესაბამისად და წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში როგორც გადაზღვევის აქტივები.

## 30 რისკის მართვა (გაგრძელება)

### სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

### ზოგადი დაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

კომპანიის სადაზღვევო ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2013 წელს მოცემულია ქვემოთ. განაწილება ეფუძნება ქვეყნებს, სადაც ხორციელდება სადაზღვევო ბიზნესი. უშუალო სადაზღვევო ბიზნესის განხორციელების ადგილი მხოლოდ საქართველოა, ხოლო ყველა გადამზღვევი კომპანია მდებარეობს საქართველოს გარეთ.

| | 2014 | | | 2013 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მთლიანი ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირებით | გადამზღვევლის წილი ვალდებულებებში ზარალებთან დაკავშირებით | წმინდა ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირებით | მთლიანი ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირებით | გადამზღვევლის წილი ვალდებულებებში ზარალებთან დაკავშირებით | წმინდა ვალდებულებები ზარალებთან დაკავშირებით |
| საქართველო | 12,411 | 11,236 | 1,175 | 14,509 | 12,429 | 2,080 |
| **სულ** | **12,411** | **11,236** | **1,175** | **14,509** | **12,429** | **2,080** |

### ფინანსური რისკი

### (1) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

კომპანია მართავს მის მიერ მიღებული საკრედიტო რისკის დონეს ჯგუფის ყოვლისმომცველი საკრედიტო რისკის პოლიტიკის მეშვეობით და აფასებს და განსაზღვრავს იმას, თუ რა წარმოადგენს კომპანიის საკრედიტო რისკს; ადგენს ზემოქმედების ლიმიტებს თითოეული კონტრაგენტის ან კონტრაგენტების ჯგუფის მიხედვით, გეოგრაფიულ და მრეწველობის სეგმენტების მიხედვით; იტოვებს ჩათვლის უფლებას, როდესაც კონტრაგენტი როგორც დებიტორი ისე კრედიტორია; ადგენს უზრუნველყოფის და გარანტიების მიღების სახელმძღვანელო მითითებებს; ახორციელებს საკრედიტო რისკების ზემოქმედების და დარღვევების შესახებ ანგარიშგებას მონიტორინგის ორგანოსთვის; მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკის პოლიტიკის შესაბამისობის ცვალებად გარემოსთან.

ქვემოთ მოცემულია მოკლე აღწერა, თუ როგორ მართავს კომპანია საკრედიტო რისკს:

***გადაზღვევა***

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას შეიძლება ჰქონდეს გადაზღვევის ხელშეკრულებები, იგი არ თავისუფლდება პირდაპირი ვალდებულებებისგან დაზღვეულის მიმართ და, აქედან გამომდინარე, საკრედიტო რისკი არსებობს გადაცემულ გადაზღვევასთან დაკავშირებით, იმდენად, რამდენადაც რომელიმე გადამზღვეველმა შეიძლება ვერ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები გადაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად. კომპანია არც თავად არის დამოკიდებული ერთ გადამზღვეველზე არც კომპანიის ოპერაციებია არსებითად დამოკიდებული გადაზღვევის რაიმე ხელშეკრულებაზე. არ არსებობს არც ერთი კონტრაგენტის მონაწილეობა, რომელიც აღემატება გადაზღვევის აქტივების საერთო ოდენობის 53%–ს საანგარიშო თარიღით. კომპანია რეგულარულად აფასებს მისი გადამზღვეველების ფინანსურ მდგომარეობას.

## 30 რისკის მართვა (გაგრძელება)

### ფინანსური რისკი (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

*გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება*

კომპანია ადგენს მაქსიმალურ თანხებს და ლიმიტებს, რომლებიც შეიძლება წინასწარ გადახდილ / განთავსებულ იქნეს ინდივიდუალური კორპორაციული კონტრაგენტებთან და რომლებიც დადგენილია მათი გრძელვადიანი რეიტინგების მითითებით.

მომხმარებლების ბალანსების მიმართ საკრედიტო რისკი, გაწეული პრემიების ან შენატანების გადაუხდელობის გამო, იარსებებს მხოლოდ პოლისით განსაზღვრული საშეღავათო პერიოდის განმავლობაში, რომლის ამოწურვის შემდეგ ხორციელდება პოლისის მიხედვით გადახდა ან მისი შეწყვეტა.

*საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით*

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის მართვა კომპანიის მიერ ხორციელდება შიდა საკრედიტო შეფასების პროცედურით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საკრედიტო ხარისხი აქტივის კლასის მიხედვით სესხთან დაკავშირებული ხაზებისთვის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში კომპანიის საკრედიტო შეფასების სისტემის საფუძველზე.

| | შენიშვნა | არც ვადაგასული, არც გაუფასურებული 2014 | ვადაგასული, მაგრამ არა გაუფასურებული 2014 | სულ 2014 |
|---|---|---|---|---|
| საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები | 6 | 7,238 | - | **7,238** |
| დაზღვევის და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება: | 7 | | | |
| დაზღვევის დებიტორული დავალიანება | | 5,404 | 529 | **5,933** |
| გადაზღვევის დებიტორული დავალიანება | | - | - | - |
| **სულ** | | **12,642** | **529** | **13,171** |

| | შენიშვნა | არც ვადაგასული, არც გაუფასურებული 2013 | ვადაგასული, მაგრამ არა გაუფასურებული 2013 | სულ 2013 |
|---|---|---|---|---|
| საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები | 6 | 6,594 | - | **6,594** |
| დაზღვევის და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება: | 7 | | | |
| დაზღვევის დებიტორული დავალიანება | | 20,464 | (5) | **20,459** |
| გადაზღვევის დებიტორული დავალიანება | | - | - | - |
| **სულ** | | **27,058** | **(5)** | **27,053** |

სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, მოიცავს სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორულ დავალიანებებს, რომელიც არ არის ვადაგადაცილებული 30 დღეზე მეტად საანგარიშო თარიღის მდგომარეობით. სადაზღვევო და გადაზღვევის

## 30 რისკის მართვა (გაგრძელება)

### ფინანსური რისკი (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

*საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით (გაგრძელება)*

დებიტორული დავალიანება, რომელიც ვადაგადაცილებული, მაგრამ არაა გაუფასურებული, მოიცავს სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორულ დავალიანებას, რომელიც ვადაგადაცილებულია 30 დღეზე მეტად. კომპანიის არა აქვს საკრედიტო რეიტინგის სისტემა ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული დებიტორული დავალიანების შესაფასებლად.

### (2) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციამ შესაძლოა განიცადოს სირთულეები თანხების მოძიების თვალსაზრისით ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ არსებული ფულადი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. ლიკვიდურობის რისკი შეიძლება იყოს იმის შედეგი რომ ვერ მოხერხდა ფინანსური აქტივების სწრაფად გაყიდვა მათი სამართლიანი ღირებულებით; ან კონტრაგენტმა ვერ დაფარა სახელშეკრულებო ვალდებულება; ან წარმოიშვა სადაზღვევო პასუხისმგებლობა მოსალოდნელზე უფრო ადრე გადახდისა; ან ვერ მოხერხდა ფულადი ნაკადების გამომუშავება, როგორც მოსალოდნელი იყო.

ძირითადი ლიკვიდურობის რისკი, რომლის წინაშე დგას კომპანია, არის ყოველდღიური აუცილებლობა, გამოიყენოს მის ხელთ არსებულ ფულადი რესურსები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ ზარალებთან და სასესხო უზრუნველყოფის ამოწურვასთან მიმართებაში.

კომპანია მართავს ლიკვიდურობას კომპანიის ლიკვიდურობის რისკის პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა წარმოადგენს ლიკვიდურობის რისკს კომპანიისთვის; განსაზღვრავს თანხების მინიმალურ წილს საგანგებო შენატანებისთვის; შეიმუშავებს დაფინანსების საგანგებო გეგმებს; აკონკრეტებს დაფინანსების წყაროებს და მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევს გეგმის ამოქმედებას; ახორციელებს ლიკვიდურობის რისკის პოლიტიკის შესაბამისობის ცვალებად გარემოსთან შესაბამისობის მონიტორინგს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია კომპანიის აქტივები და ვალდებულებები მათი გადახდის ვადების შესაბამის ჯგუფებში, ხელშეკრულების მიხედვით გადახდამდე ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი პერიოდის საფუძველზე ანგარიშგების თარიღისთვის.

| 31-დეკ-14 | ერთი წლის განმავლობაში | ერთ წელიწადზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|
| **აქტივები:** | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 861 | - | **861** |
| საკრედიტო დაწესებულებებიდან მისაღები თანხები | 7,238 | - | **7,238** |
| დაზღვევის და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება | 5,933 | - | **5,933** |
| გადაზღვევის აქტივები | 4,952 | 10,830 | **15,782** |
| გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება | 1,869 | - | **1,869** |
| მოგების მიმდინარე გადასახადის აქტივი | 815 | - | **815** |
| მოგების გადავადებული გადასახადის აქტივი | - | 2,023 | **2,023** |
| სხვა აქტივები | 6,562 | - | **6,562** |
| **სულ აქტივები** | **28,230** | **12,853** | **41,083** |
| | | | |
| **ვალდებულებები:** | | | |
| ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით | 10,441 | 10,830 | **21,271** |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
*თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არაა დადგენილი*

| | | | |
|---|---|---|---|
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 6,539 | - | **6,539** |
| ფინანსური ვალდებულებები | 6,011 | 3,627 | **9,638** |
| ვალდებულება მოგების გადავადებულ გადასახადთან დაკავშირებით | - | - | **-** |
| სხვა ვალდებულებები | 5,155 | - | **5,155** |
| **სულ ვალდებულებები** | **28,146** | **14,457** | **42,603** |
| **წმინდა პოზიცია** | **84** | **(1,604)** | **(1,520)** |
| ***აკუმულირებული სხვაობა*** | ***84*** | ***(1,520)*** | |

| 31-დეკ-13 | ერთი წლის განმავლობაში | ერთ წელიწადზე | სული |
|---|---|---|---|
| აქტივები: | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 1,497 | - | **1,497** |
| საკრედიტო დაწესებულებებიდან მისაღები თანხები | 6,594 | - | **6,594** |
| დაზღვევის და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება | 20,459 | - | **20,459** |
| გადაზღვევის აქტივები | 2,156 | 11,893 | **14,049** |
| გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება | 1,965 | - | **1,965** |
| მოგების მიმდინარე გადასახადის აქტივი | 815 | - | **815** |
| მოგების გადავადებული გადასახადის აქტივი | - | 1,913 | **1,913** |
| სხვა აქტივები | 5,090 | - | **5,090** |
| **სულ აქტივები** | **38,576** | **13,806** | **52,382** |
| ვალდებულებები: | | | |
| ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით | 23,422 | 11,893 | **35,315** |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 6,800 | - | **6,800** |
| ფინანსური ვალდებულებები | 7,685 | 7,051 | **14,736** |
| ვალდებულება მოგების გადავადებულ გადასახადთან დაკავშირებით | - | - | **-** |
| სხვა ვალდებულებები | 7,476 | - | **7,476** |
| **სულ ვალდებულებები** | **45,383** | **18,944** | **64,327** |
| **წმინდა პოზიცია** | **(6,807)** | **(5,138)** | **(11,945)** |
| ***აკუმულირებული სხვაობა*** | ***(6,807)*** | ***(11,945)*** | |

თანხები და ვადები სადაზღვევო ვალდებულებებთან დაკავშირებით დაფუძნებულია ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებაზე, რომელიც ეფუძნება სტატისტიკურ მეთოდებს და წარსულ გამოცდილებას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის პროფილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გადახდები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, განიხილება ისე, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მიეცემა.

## 30 რისკის მართვა (გაგრძელება)

### ფინანსური რისკი (გაგრძელება)

### ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

| ფინანსური ვალდებულებები | 3 თვეზე ნაკლები | 3 – 12 თვე | 1 – 5 წელი | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | | | | | |
| ფინანსური ვალდებულებები | 1,466 | 4,545 | 3,627 | _ | 9,638 |
| **სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები** | **1,466** | **4,545** | **3,627** | **-** | **9,638** |
| **2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | | | | | |
| ფინანსური ვალდებულებები | 6,217 | 2,671 | 5,848 | _ | 14,736 |
| **სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები** | **6,217** | **2,671** | **5,848** | **-** | **14,736** |

### გეოგრაფიული კონცენტრაცია

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2013 წელს არის შემდეგი. განაწილება ეფუძნება ქვეყნებს სადაც ხორციელდება სადაზღვევო ბიზნესი. ანალიზი არ იქნებოდა არსებითად განსხვავებული იმ შემთხვევაში, თუ დაეფუძნებოდა პარტნიორების მდებარეობის ქვეყნებს.

| | საქართველო | OECD ქვეყნები | არა-OECD ქვეყნები | სულ |
|---|---|---|---|---|
| **2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | | | | |
| აქტივები: | | | | |
| გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება | 1,869 | – | – | **1,869** |
| გადაზღვევის აქტივები | 97 | 13,747 | 1,938 | **15,782** |
| მოგების გადავადებული გადასახადის აქტივები | 2,023 | - | - | **2,023** |
| მოგების მიმდინარე გადასახადის აქტივები | 815 | - | - | **815** |
| სხვა აქტივები | 6,562 | - | - | **6,562** |
| დაზღვევის და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება | 5,933 | - | - | **5,933** |
| საკრედიტო დაწესებულებებიდან მისაღები | 7,238 | - | - | **7,238** |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 861 | - | - | **861** |
| **სულ აქტივები** | **25,398** | **13,747** | **1,938** | **41,083** |
| **ვალდებულებები:** | | | | |
| ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით | 21,271 | - | - | **21,271** |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 3,011 | 2,424 | 1,104 | **6,539** |
| ფინანსური ვალდებულებები | 9,638 | - | - | **9,638** |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
*თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არაა დადგენილი*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სხვა ვალდებულებები | 5,155 | - | - | **5,155** |
| **სულ ვალდებულებები** | **39,075** | **2,424** | **1,104** | **42,603** |
| | | | | |
| **წმინდა პოზიცია** | **(13,677)** | **11,323** | **834** | **(1,520)** |

| | საქართველო | OECD ქვეყნები | არა-OECD ქვეყნები | სულ |
|---|---|---|---|---|
| **2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | | | | |
| **აქტივები:** | | | | |
| გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება | 1,965 | – | – | **1,965** |
| გადაზღვევის აქტივები | 186 | 11,995 | 1,868 | **14,049** |
| მოგების გადავადებული გადასახადის აქტივები | 1,913 | – | – | **1,913** |
| მოგების მიმდინარე გადასახადის აქტივები | 815 | – | – | **815** |
| სხვა აქტივები | 5,090 | – | – | **5,090** |
| დაზღვევის და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება | 20,459 | – | – | **20,459** |
| საკრედიტო დაწესებულებებიდან მისაღები თანხები | 6,594 | – | – | **6,594** |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 1,497 | – | – | **1,497** |
| **სულ აქტივები** | **38,519** | **11,995** | **1,868** | **52,382** |
| **ვალდებულებები:** | | | | |
| ვალდებულებები დაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით | 35,315 | - | - | **35,315** |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 5,118 | 203 | 1,479 | **6,800** |
| ფინანსური ვალდებულებები | 14,736 | - | - | **14,736** |
| სხვა ვალდებულებები | 7,476 | - | - | **7,476** |
| **სულ ვალდებულებები** | **62,645** | **203** | **1,479** | **64,327** |
| | | | | |
| **წმინდა პოზიცია** | **(24,126)** | **11,792** | **389** | **(11,945)** |

## საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება იმერყევებს საბაზრო ცვლადების ცვლილებები გამო, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები და სავალუტო კურსები.

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი სავალუტო კურსების მერყეობის გამო (სავალუტო რისკი), საბაზრო საპროცენტო განაკვეთის რისკი (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და საბაზრო ფასების რისკი (ფასის რისკი), მიუხედავად იმისა, ფასის ასეთი ცვლილება გამოწვეულია ინდივიდუალური ინსტრუმენტისთვის ან მისი გამცემისთვის დამახასიათებელ ფაქტორებით, თუ ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენს ბაზარზე არსებულ ყველა ინსტრუმენტზე.

## 30 რისკის მართვა (გაგრძელება)

### საბაზრო რისკი (გაგრძელება)

კომპანია ახორციელებს მის მიერ მიღებული საბაზრო რისკების დონეების სტრუქტურირებას კომპანიის საბაზრო რისკის პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა წარმოადგენს საბაზრო რისკს კომპანიისთვის; ადგენს საფუძველს, რომელიც გამოიყენება სამართლიანი ღირებულების ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის; აქტივების განაწილებას და პორტფელის შეზღუდვის სტრუქტურას; დივერსიფიკაციის კრიტერიუმებს ინსტრუმენტის ტიპის და გეოგრაფიული ზონის მიხედვით; ადგენს ზემოქმედების წმინდა ლიმიტებს თითოეულ კონტრაგენტსა ან კონტრაგენტების ჯგუფთან, გეოგრაფიულ ან სამრეწველოს სეგმენტებთან დაკავშირებით; ახორციელებს კონტროლს ხეჯირების საქმიანობაზე; ანგარიშს საბაზრო რისკების და დარღვევების შესახებ მონიტორინგის ორგანოსთვის; მონიტორინგის შესაბამისობის უზრუნველყოფას საბაზრო რისკების პოლიტიკასთან და საბაზრო რისკების პოლიტიკის მიმოხილვას შესაბამისობაზე ცვალებად გარემოში, პოტენციური ზარალის პერიოდულ შეფასებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ბაზრის პირობების არასასურველი ცვლილებების გამო და ზარალის შეჩერების შესაბამისი ლიმიტების და ფარგლების დამყარებასა და შენარჩუნებას.

*საპროცენტო განაკვეთის რისკი*

ყველა ფინანსური ინსტრუმენტს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. ამდენად, ამჟამად არ არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე საპროცენტო რისკთან დაკავშირებით.

*სავალუტო რისკი*

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე მოქმედებს ძირითადი უცხოური ვალუტების გაცვლის კურსის განაკვეთის მერყეობა. კომპანიის ძირითადი ოპერაციები ხორციელდება ქართულ ლარში და უცხოური ვალუტების გაცვლის კურსთან დაკავშირებული რისკი წარმოიქმნება, უპირველეს ყოვლისა, აშშ დოლარის და ევროს მიმართ, ვინაიდან აშშ დოლარში დენომინირებული სადაზღვევო ოპერაციები წარმოადგენს კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილს.

კომპანიის ფინანსური აქტივები ძირითადად დენომინირებულია იმავე ვალუტაში, რაშიც მისი სადაზღვევო ვალდებულებები, რაც ამცირებს უცხოური ვალუტის გაცვლის კურსთან დაკავშირებულ რისკს საზღვარგარეთ განხორციელებული ოპერაციებისთვის. ამგვარად, ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული ძირითადი რისკი წარმოიშობა აღიარებული აქტივებიდან და ვალდებულებებიდან იმ ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, რომელშიც მოსალოდნელია სადაზღვევო და საინვესტიციო ვალდებულებების ანგარიშსწორება.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში ნაჩვენებია ვალუტები, რომელთა მიმართ რისკს კომპანია მნიშვნელოვნად ექვემდებარებოდა 2014 წლის 31 დეკემბერს და 2013 წელს მის არასავაჭრო მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებთან და მის საპროგნოზო ფულად ნაკადებთან დაკავშირებით. ანალიზის მეშვეობით გაანგარიშებულია სავალუტო კურსის ლართან მიმართებაში გონივრულად შესაძლებელი ცვლილების ეფექტი მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, ყველა სხვა ცვლადის უცვლელობის პირობებში. უარყოფითი მაჩვენებელი ცხრილში ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას:

## 30 რისკის მართვა (გაგრძელება)

### საბაზრო რისკი (გაგრძელება)

*სავალუტო რისკი (გაგრძელება)*

| | 2014 | | | |
|---|---|---|---|---|
| | GEL | USD | EUR | სულ |
| **ფინანსური აქტივები:** | | | | |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები | 729 | 131 | 1 | 861 |
| საკრედიტო დაწესებულებებიდან მისაღები თანხები | 1,020 | 6,127 | 91 | 7,238 |
| გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება | 194 | 1,675 | - | 1,869 |
| დაზღვევის და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება | 2,707 | 3,192 | 34 | 5,933 |
| გადაზღვევის აქტივები | 851 | 14,930 | 1 | 15,782 |
| **ფინანსური აქტივები სულ** | **5,501** | **26,055** | **127** | **31,683** |
| **ფინანსური ვალდებულებები:** | | | | |
| ვალდებულებები სადაზღვევო ხელშეკრულებების მიხედვით | 4,941 | 16,265 | 65 | 21,271 |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 2,986 | 3,550 | 3 | 6,539 |
| ფინანსური ვალდებულებები | 1,563 | 8,075 | - | 9,638 |
| სხვა ვალდებულებები | 5,155 | - | - | 5,155 |
| **ფინანსური ვალდებულებები სულ** | **14,645** | **27,890** | **68** | **42,603** |
| **წმინდა მდგომარეობა** | **(9,144)** | **(1,835)** | **59** | **(10,920)** |
| **სავალუტიო განაკვეთის ზრდა, %** | | **25.00%** | **25.00%** | |
| **გავლენა მოგებაზე** | | **(459)** | **15** | |
| **სავალუტო განაკვეთის ზრდა, %** | | **-25.00%** | **-25.00%** | |
| **გავლენა მოგებაზე** | | **459** | **(15)** | |

| | 2013 | | | |
|---|---|---|---|---|
| | GEL | USD | EUR | სულ |
| **ფინანსური აქტივები:** | | | | |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები | 437 | 1,057 | 3 | **1,497** |
| საკრედიტო დაწესებულებებიდან მისაღები თანხები | 2,003 | 4,495 | 96 | **6,594** |
| გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება | 1,965 | - | - | **1,965** |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
*თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არაა დადგენილი*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დაზღვევის და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება | 18,717 | 1,726 | 16 | **20,459** |
| გადაზღვევის აქტივები | 911 | 13,138 | - | **14,049** |
| **ფინანსური აქტივები სულ** | **24,033** | **20,416** | **115** | **44,564** |
| **ფინანსური ვალდებულებები:** | | | | |
| ვალდებულებები სადაზღვევო ხელშეკრულებების მიხედვით | 21,001 | 14,260 | 54 | **35,315** |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 4,951 | 1,849 | - | **6,800** |
| ფინანსური ვალდებულებები | 2,549 | 12,187 | - | **14,736** |
| სხვა ვალდებულებები | 7,476 | - | - | **7,476** |
| **ფინანსური ვალდებულებები სულ** | **35,977** | **28,296** | **54** | **64,327** |
| **წმინდა მდგომარეობა** | (11,944) | (7,880) | 61 | (19,763) |
| **სავალუტო განაკვეთის ზრდა %** | | **10.00%** | **10.00%** | |
| **გავლენა მოგებაზე** | | **(788)** | **6** | |
| **სავალუტიო განაკვეთის ზრდა %** | | **-10.00%** | **-10.00%** | |
| **გავლენა მოგებაზე** | | **788** | **(6)** | |

კომპანიის ძირითადი ფულადი ნაკადები (შემოსავლები, საოპერაციო ხარჯები) ძირითადად გენერირებულია ლარში. შედეგად, მომავალში გაცვლის კურსის ცვლილება ქართულ ლარსა და აშშ დოლარს შორის იმოქმედებს კომპანიის აშშ დოლარში დენომინირებული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. ასეთმა ცვლილებებმა შეიძლება ასევე იმოქმედოს კომპანიის შესაძლებლობაზე განახორციელოს არაფულადი აქტივების ინვესტიციები, რომლებიც აშშ დოლარებშია შეფასებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

*ფასის რისკი*

კომპანიის ფასის რისკის წარმოქმნა უკავშირდება ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა ღირებულება იმერყევებს საბაზრო ფასების ცვლილებების შედეგად. კომპანიას არა ჰქონია ასეთი ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები 2014 წლის 31 დეკემბრისა და 2013 წლიდან.

## 31 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

IAS 24 *განმარტებები დაკავშირებული მხარეების შესახებ* შესაბამისად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება მიმართულია ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ დადონ ისეთი გარიგებები, რომელთა დადება არ შეუძლიათ დაუკავშირებელ მხარეებს და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის არ შეიძლება განხორციელდეს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
*თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არაა დადგენილი*

## 31 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების მოცულობა, ნაშთები წლის ბოლოს, და ამასთან დაკავშირებული ხარჯები და შემოსავალი ამ წლისთვის შემდეგია:

| | 2014 | | 2013 | |
|---|---|---|---|---|
| | მშობელი კომპანია | საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები | მშობელი კომპანია | საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები |
| **აქტივები** | | | | |
| გაცემული სესხები და დებიტორული დავალიანება | - | 123 | - | 1,442 |
| დაზღვევის და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება | 5 | - | 4 | - |
| | **5** | **123** | **4** | **1,442** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| სხვა ვალდებულებები | - | - | 319 | - |
| | **-** | **-** | **319** | **-** |
| **შემოსავალი და ხარჯები** | | | | |
| სადაზღვევო პრემია | 3 | | 6 | |
| | **3** | **-** | **6** | **-** |

ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება (2014: 3 პირი; 2013: 2 პირი):

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| ხელფასები და ბონუსები | 695 | 672 |
| **სულ ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება** | **695** | **672** |

საკონსულტაციო კომიტეტის ანაზღაურება (2014: 6 წევრი, 2013: 5 წევრი):

| | 2014 | 2013 |
|---|---|---|
| ხელფასები და სხვა შეღავათები | 574 | 503 |
| **სულ საკონსულტაციო კომიტეტის ანაზღაურება** | **574** | **503** |

კომიტეტის წევრები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებებთან დაკავშირებით კონსულტაციების უზრუნველყოფაზე.

## 32 უწყვეტ საქმიანობასთან დაკავშირებული მოსაზრებები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე დაფუძნებით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების გადახდას ჯგუფის ბიზნეს–საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას.

## 32 უწყვეტ საქმიანობასთან დაკავშირებული მოსაზრებები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის გააგრძელებს თავის ოპერაციებს მომავალში მნიშვნელოვანი შეზღუდვების გარეშე და, ამრიგად, ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს უწყვეტობის საფუძველზე.

ჯგუფს აქვს წმინდა მოგება 2,681 ლარი 2014 წელს და ანგარიშგების თარიღისთვის ჯგუფის კაპიტალი (2014 წლის 31 დეკემბერს: 4,958 ლარი, მათ შორის, 3,458 ლარი აკუმულირებული მოგება) საკამაოდ აღემატება მოთხოვნილ მინიმალურ კაპიტალს.

## 33 საანგარიშო თარიღის შემდეგ განვითარებული მოვლენები

Clyde & Co 2015 წლის 17 თებერვლის ანგარიშის თანახმად, „საქართველოს ავიახაზების“ #117/11 სარჩელისთვის დადგენილი რეზერვი, დაზღვეული თვითმფრინავის 2011 წლის 4 აპრილს კონგოში მომხდარ საჰაერო ინციდენტთან დაკავშირებით, 5,811 აშშ დოლარის ოდენობით, როგორც გათვალისწინებულია 31/12/2014 ფინანსური ანგარიშგებაში, შემცირდა 2,000 აშშ დოლარით.

საანგარიშო პერიოდის შემდეგ არ ჰქონია ადგილი სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს აღნიშვნას ან კორექტირებას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.